



შრომის
საერთაშორისო
ორგანიზაცია

ქენეზა



სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა და დაავადებების გამოძიება

პრაქტიკული სახელმძღვანელო
შრომის ინსპექტორებისათვის



Funding for this project was provided by the United States Department of Labor.

This material does not necessarily reflect the views or policies of the United States Department of Labor, nor does the mention of trade names, commercial products, or organizations imply endorsement by the United States Government.

სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა და დაავადებების გამოძიება

პრაქტიკული სახელმძღვანელო
შრომის ინსპექტორებისათვის

Copyright © International Labour Organization 2016

First published 2016

Publications of the International Labour Office enjoy copyright under Protocol 2 of the Universal Copyright Convention. Nevertheless, short excerpts from them may be reproduced without authorization, on condition that the source is indicated. For rights of reproduction or translation, application should be made to ILO Publications (Rights and Licensing), International Labour Office, CH-1211 Geneva 22, Switzerland, or by email: rights@ilo.org. The International Labour Office welcomes such applications.

Libraries, institutions and other users registered with reproduction rights organizations may make copies in accordance with the licences issued to them for this purpose. Visit rights@ilo.org to find the reproduction rights organization in your country.

ILO Cataloguing in Publication Data

სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა და დაავადებების გამოძიება : პრაქტიკული სახელმძღვანელო შრომის ინსპექტორებისათვის / DWT/CO for Eastern Europe and Central Asia. - Moscow: ILO, 2016

76 p.

ISBN: 9789228308334 (web pdf)

International Labour Office

occupational accident / occupational disease / labour inspection / reporting system / data collecting / case study

13.04.3

Also available in French:

Enquêtes sur les accidents du travail et les maladies professionnelles – Guide pratique à l'intention des inspecteurs du travail 978-92-2-229419-0 (print); 978-92-2-229420-6 (web pdf)

Spanish: Investigación de accidentes del trabajo y enfermedades profesionales – Guía práctica para inspectores del trabajo 978-92-2-329419-9 (print); 978-92-2-329420-5 (web pdf)

ILO Cataloguing in Publication Data

The designations employed in ILO publications, which are in conformity with United Nations practice, and the presentation of material therein do not imply the expression of any opinion whatsoever on the part of the International Labour Office concerning the legal status of any country, area or territory or of its authorities, or concerning the delimitation of its frontiers.

The responsibility for opinions expressed in signed articles, studies and other contributions rests solely with their authors, and publication does not constitute an endorsement by the International Labour Office of the opinions expressed in them. Reference to names of firms and commercial products and processes does not imply their endorsement by the International Labour Office, and any failure to mention a particular firm, commercial product or process is not a sign of disapproval.

ILO publications and electronic products can be obtained through major booksellers or ILO local offices in many countries, or direct from ILO Publications, International Labour Office, CH-1211 Geneva 22, Switzerland. Catalogues or lists of new publications are available free of charge from the above address, or by email: ilo@turpin-distribution.com

Visit our website: www.ilo.org/publns

Printed in Georgia

სარჩევი

აბრევიატურები	IV
განსაზღვრებები	IV
წინასიტყვაობა	V
1. შესავალი	1
1.1 რა არის გამოძიება?.....	1
1.2 როგორია წარმატებული გამოძიება?	3
1.3 რისი გამოძიება ხდება?	5
2. გამოძიებლებისათვის საჭირო უნარები	7
2.1 ინტერვიუს ჩატარების უნარები	8
2.2 მონშის დაკითხვა	11
3. გამოძიების მთავარი ეტაპები	15
3.1 მომზადება გამოძიების დაწყებამდე	15
3.2 ინფორმაციის შეგროვება	17
3.3 ინფორმაციის ანალიზი	25
3.4 პრევენციული/რისკის კონტროლის ზომების იდენტიფიცირება	30
3.5 სამოქმედო გეგმის განხორციელება	31
3.6 ანგარიშის მომზადება/ინფორმაციის დოკუმენტირება	32
4. უბედური შემთხვევის გამოძიების საკონტროლო სია	34
5. ანგარიში გამოძიების შესახებ	39
პრაქტიკული მაგალითი: თანამშრომელი დაშავდა	43
ცირკულარულ ხერხთან მუშაობისას	
ნაბიჯი 1: რა ქმედებები უნდა განვახორციელოთ უბედური	43
შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღებისას	
ნაბიჯი 2: ინფორმაციის შეგროვება	44
ნაბიჯი 3: ინფორმაციის გაანალიზება	50
ნაბიჯი 4: პრევენციის/რისკის კონტროლის მექანიზმის	
იდენტიფიცირება	52
ნაბიჯი 5: სამოქმედო გეგმის განხორციელება	53
ნაბიჯი 6: გამოძიების ანგარიში	53

აბრევიატურები

ILO - შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

OSH - სამუშაო ადგილზე ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სისტემა

განსაზღვრებები

უბედური შემთხვევა სამუშაო ადგილზე - შემთხვევა, რომელიც წარმოიშვება სამუშაოს შედეგად, ან მუშაობის დროს და სრულდება ფატალური შედეგით ან დაზიანებით, მაგ: სიმაღლიდან გადმოვარდნა, ან მოძრავ მექანიზმთან კონტაქტი.

პროფესიული დაავადება - მოიცავს ნებისმიერ დაავადებას, რომელიც გამომწვეულია სამუშაოს შედეგად ან მუშაობის პროცესში საფრთხის წყაროსთან კონტაქტით, მაგ: ასთმა, რომელიც გამომწვეულია ხის მტვერთან ან ქიმიურ ნაერთებთან კონტაქტით.

სახიფათო მოვლენა - ადვილად იდენტიფიცირებადი მოვლენა, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით და რეგულაციებითაა განსაზღვრული და შეუძლია მიაყენოს ზიანი კონკრეტულ პიროვნებას ან საზოგადოებას, მაგ: ამწის ჩამოვარდნა, რომელიც იწვევს მხოლოდ ქონების დაზიანებას.

ინცინდენტი/დაუღევრობა - მოვლენა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ეროვნული კანონმდებლობით და რეგულაციებით, რომელსაც შეუძლია მიაყენოს ზიანი დასაქმებულ ადამიანებს ან საზოგადოებას, მაგ: აგურის ჩამოვარდნა ხარაჩოდან, რომელიც არავის აზიანებს.

წინამდებარე სახელმძღვანელოში 'ინცინდენტის გამოძიება' შეიძლება გამოყენებულ იქნას ზემოთხსენებულ ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი არ იქნება სხვანაირად მითითებული.

საფრხე - ნებისმიერი რამ, რასაც შეუძლია ზიანის გამომწვევა, როგორცაა ქიმიური ნაერთები, დენი, მუშაობა კიბეზე, უყურადღებოდ დატოვებული მანქანა-დანადგარები, ღია თარო, სტრესული სამუშაო და ა.შ.

რისკი - არის ალბათობა, მაღალი ან მცირე, რომ ვინმეს შეიძლება მიადგეს ზიანი ამ ან რომელიმე სხვა საფრთხისგან, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად სერიოზული შეიძლება იყოს ეს ზიანი.

წინასიტყვაობა

2014 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ დაადგინა, რომ ყოველწლიურად 2.3 მილიონი ფატალური შემთხვევა ფიქსირდება, რომელიც გამოწვეულია სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევით ან პროფესიული დაავადებებით. აქედან 350 000-ზე მეტი გამოწვეულია უბედური შემთხვევებით, ხოლო დაახლოებით 2 მილიონი პროფესიული დაავადებებით. ამას გარდა, დადგინდა, რომ 2010 წელს დაახლოებით 313 მილიონი ნაკლებად მძიმე ინცინდენტი დაფიქსირდა (რომლებიც მოითხოვდნენ სამუშაოს გაცდენას მინიმუმ ოთხი დღის განმავლობაში). მიუხედავად იმისა, რომ ეს ციფრები განმაცვიფრებელია, ისინი მაინც არ ასახავენ იმ ტკივილსა და ტანჯვას, რომელსაც განიცდის გლობალურად დასაქმებულები და მათი ოჯახის წევრები და არ ასახავს სანარმოებისა და საზოგადოებების გლობალურ ეკონომიკურ დანაკარგებს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უბედური შემთხვევა სამუშაო ადგილზე და პროფესიული დაავადებები შეიძლება თავიდან იქნას აცილებული. თუმცა, როდესაც ისინი ხდება, საჭიროა შესაბამისი დასკვნების გამოტანა და გაკვეთილის მიღება. ეს საშუალებას მისცემს როგორც დამსაქმებლებს, ასევე დასაქმებულებს, რომ გააუმჯობესონ სამუშაო პირობები, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ასეთი ინცინდენტების რაოდენობის შემცირებას.

აქედან რომ ვისწავლოთ, საჭიროა ეფექტური გამოძიება, რათა განისაზღვროს უშუალო, ძირითადი და არსებითი მიზეზები და რისკის შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომელთა გატარება იქნება შესაძლებელი, მსგავსი ინცინდენტების განმეორების თავიდან ასაცილებლად.

შრომის ინსპექტორების ერთ-ერთი როლი არის ასეთი გამოძიების ჩატარება და ეს პუბლიკაცია მომზადდა, რათა მიაწოდოს მათ ინფორმაცია, რეკომენდაციები და მეთოდოლოგია ამ მნიშვნელოვანი საქმის განსახორციელებლად. წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საერთაშორისო სატრენინგო ცენტრთან (ტურინი) ერთად, სამუშაო შეხვედრის შემდეგ, რომელიც მიეძღვნა სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების გამოძიებას. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ წარმომადგენლები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ბრაზილიიდან, გაერთიანებული სამეფოდან, იტალიიდან, ნორვეგიიდან, პორტუგალიიდან, და რუმინეთიდან, ისევე როგორც ტექნიკური სპეციალისტები შრომის ადმინისტრაციიდან, შრომის საერთაშორისო ოფისის შრომის ინსპექციის, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის განყოფილებიდან. იმედი მაქვს, წინამდებარე

სახელმძღვანელო იქნება ინფორმაციის ფასეული წყარო შრომის ინსპექტორებისათვის და ყველა იმ პირისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან გამოძიების პროცესში და საშუალებას მისცემს მკითხველს, დაეხმაროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას, გააუმჯობესოს სამუშაო პირობები და შეამციროს უბედური შემთხვევებისა და პროფესიულ დაავადებათა რაოდენობა.

ქ-ნი ნენსი ჯ. ლეფინგი

დირექტორი

შრომის ადმინისტრაცია, შრომის ინსპექციის, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის განყოფილება

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სურს აღნიშნოს, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო შეიცავს საჭარო სექტორის ინფორმაციას, რომელიც გამოქვეყნებულია Health and Safety Executive, დიდი ბრიტანეთი და ლიცენზირებულია გაერთიანებული სამეფოს ღია მმართველობის ლიცენზიით v1.0

1. შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო გამომწვევია იმისთვის, რომ შრომის ინსპექტორებს განუვითაროს აუცილებელი უნარები სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების, დაავადებებისა და სხვა არასასურველი მოვლენების (როგორებიცაა საშიში ან დაუდევრობით გამოწვეული შემთხვევები) ეფექტური გამოძიებისათვის, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს დასაქმებულთა, მათი ოჯახის წევრების ან საზოგადოების წარმადგენლების დაზიანება. უნდა გვახსოვდეს, რომ სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევები, დაავადებები და სხვა არასასურველი მოვლენები შეიძლება თავიდან იქნას აცილებულნი. გამოძიება არა მხოლოდ დაადგენს მათ გამომწვევ მიზეზებს, არამედ იმასაც, თუ რა შეიძლება გაკეთებულიყო მათი თავიდან აცილებისათვის.

წინამდებარე სახელმძღვანელო ინსპექტორებს აწვდის ინფორმაციას ეფექტური გამოძიების მნიშვნელობის შესახებ და ასევე გამოძიების წარმართვის მეთოდოლოგიისა და შესაბამისი ანგარიშის მომზადების შესახებ.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას სჯერა, რომ არსებობს გამოძიების წარმართვის მრავალი მეთოდი, მაგრამ სწორედ აქ წარმოდგენილი მეთოდოლოგია აძლევს ინსპექტორებს საშუალებას დაადგინონ უშუალო და ძირითადი გამომწვევი მიზეზები. თავის მხრივ, ეს საშუალებას მისცემს ინსპექტორებს, დაეხმარონ დამსაქმებულებს, კომპანიებსა და დასაქმებულთა წარმომადგენლებს, მოახდინონ რისკის მართვის/პრევენციის შესაბამისი ზომების იდენტიფიცირება, რათა აღარ განმეორდეს მსგავსი შემთხვევები, რომლებმაც გამოიწვიეს გამოძიების ქვეშ მყოფი მოვლენა და, შესაბამისად, გააუმჯობესონ სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სისტემა.

1.1 რა არის გამოძიება?

სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევის, დაავადების და საშიში მოვლენის (დაუდევრობის) გამოძიება.

- არკვევს, როგორ და რატომ მოხდა არასასურველი მოვლენა (ავარია, დაინფიცირება, სახიფათო მოვლენა, დაუდევრობა) და
- ადგენს იმ ზომებს, რომელთა გატარებაც საჭიროა მსგავსი მოვლენის თავიდან ასაცილებლად

რაც იწვევს სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესებას. შრომის ინსპექტორების მიერ განხორციელებული გამოძიება ასევე უნდა ადგენდეს, გამოძიების ქვეშ მყოფ მოვლენასთან დაკავშირებით:

- ყველა მხარეს, რომელსაც გააჩნია სამართლებრივი ვალდებულება - მაგ: კომპანია, მმართველი რგოლი, დასაქმებულები, მომწოდებლები და ა.შ.
- შესაბამის კანონმდებლობას, დაირღვა თუ - არა ის, მის განხორციელებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს და ა.შ.
- ღონისძიებებს, რომელთა გატარებაც საჭიროა იმისთვის, რომ კომპანიამ დაიცვას სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული კანონმდებლობა.

გამოძიება **რეაქტიული**, რადგანაც ჯერ უნდა მოხდეს მოვლენა, რომლის შედეგადაც დაიწყო გამოძიება. შრომის ინსპექტორმა უნდა განსამდგროს არა მხოლოდ ის, თუ რა იყო მოვლენის შედეგი, არამედ ისიც თუ როგორ და რატომ მოხდა ის, რადგანაც მოხდეს მომავალში მისი განმეორების თავიდან ასაცილებლად შესაბამის ზომების მიღება, რაც გააუმჯობესებს სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მართვის სისტემას. ასევე შრომის ინსპექტორის კომპეტენციაში ისიც შედის, რომ დამსაქმებულებისა და დასაქმებულთა მხრიდან უზრუნველყოს ეროვნული კანონმდებლობის დაცვა, მათ შორის სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის, ასევე გამოძიების ჩატარებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო საკითხებიც.

ნებისმიერი გამოძიება უნდა პასუხობდეს ექვს ძირითად შეკითხვას:

ვინ მიიღო დაზიანება, შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემა ან სხვა მხრივ იყო დაკავშირებული გამოძიების ქვეშ მყოფ მოვლენასთან?

სად მოხდა უბედური შემთხვევა?

როდის მოხდა უბედური შემთხვევა?

რა მოხდა კონკრეტულად უბედური შემთხვევის დროს?

როგორ მოხდა უბედური შემთხვევა?

რატომ მოხდა უბედური შემთხვევა?

გამოძიების ჩასატარებლად საჭირო უნარ-ჩვევები იმაში მდგომარეობს, რომ გაცეს პასუხი ამ ექვს ფუნდამენტურ შეკითხვას.

1.2 როგორია წარმატებული გამოძიება?

კარგი გამოძიება დაადგენს უბედური შემთხვევის უშუალო და ძირითად მიზეზს(ებს), მის არსებით მიზეზს და ამ მიზეზ-შედეგობრიობის ჯაჭვის გასაწყვეტად საჭირო კონტროლისა და პრევენციის მექანიზმებს.

ქვემოთ მოცემული ყვავილის შემთხვევაში, მაშინ როცა მისი ღერო არის ყვავილის აშკარა საყრდენი, მას ასევე სჭირდება ფესვებიც.



ეს ჭეშმარიტია უმეტესი უბედური შემთხვევებისთვის. თუკი ყვავილი არის უბედური შემთხვევა და მოვჭრით ღეროს, ყვავილი მოკვდება, მაგრამ მცენარე ისევ შეძლებს ყვავილის გამოსხმას, რადგანაც მისი ფესვების სისტემა არ იქნა განადგურებული, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვა უბედური შემთხვევა მოხდება.


მოდით განვიხილოთ უბედური შემთხვევის სცენარი:

ოპერატორი დაზიანდა, როდესაც ხელით შეეხო დაზგაზე განლაგებულ მბრუნავ ხერხს, რომელსაც თვითონ ამუშავებდა:



გამოძიება დაადგენს როგორც უშუალო მიზეზს - ოპერატორს ხელი მოუხვდა დაზგაზე განლაგებულ მბრუნავ ხერხზე - ასევე ძირითად მიზეზებს, მათ შორის იმ ფაქტს, რომ ხერხი არ იყო დაცული და რომ ოპერატორი ხერხს არ იყენებდა დაცულ პირობებში. თუმცა დეტალური გამოძიება ასევე დაადგენს, არსებით მიზეზებსაც, მაგალითად - და ეს არ არის ამომწურავი სია - რატომ არ იყო ხერხი დაცული, რატომ იყენებდა ოპერატორი ხერხს ასეთ პირობებში და რა პროცედურებს იცავდა სანარმო, რათა უზრუნველყო, რომ ოპერატორს არ გამოეყენებინა მანქანა-დანადგარები, თუკი ისინი არ იქნებოდნენ სათანადოდ დაცულნი, ისევე როგორც იმას, რომ ოპერატორები და მათი ზედამხედველები შესაბამისად ყოფილიყვნენ ინფორმირებულნი სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების წესების შესახებ.

გამოძიების ჩატარებისას ინსპექტორებმა უნდა იცოდნენ, რომ უბედური შემთხვევა შეიძლება გამოიწვიოს მრავალმა მიზეზმა (უშუალო, ძირითადი და არსებითი) და სისტემის ხარვეზებმა.



1.3 რისი გამოძიება ხდება?

უბედური შემთხვევების, დაავადებებისა და საფრთხის შემცველი მოვლენების განსაკუთრებით დაუდევრობის - მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილის გამოძიება ხდება. ამის მრავალი მიზეზი არსებობს, მათ შორის ისიც, რომ ინსპექტორები არ არიან ინფორმირებულნი ინცინდენტების შესახებ (ანგარიშგების ნაკლოვანება) და გამოძიების საწარმოებლად არ არსებობს საკმარისი რესურსები. მიზეზის მიუხედავად, თუკი არ მოხდება გამოძიება, უბედური შემთხვევების მიზეზების და მათი თავიდან აცილების რისკების კონტროლის მექანიზმის და განმეორების თავიდან აცილების შანსი დაიკარგება. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ როდესაც გამოძიება ტარდება, ის იყოს საფუძვლიანი და გამოიკვლიოს ყველა შესაძლო მიზეზი, ასევე დაადგინოს კონტროლის შესაბამისი ზომები, რათა აღარ მოხდეს მსგავსი შემთხვევის განმეორება.

უმეტეს სახელმწიფოს აქვს შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც დასაქმებულებს ავადმდეულებს შესაბამის უწყებებს აცნობონ უბედური შემთხვევების შესახებ, რაც საშუალებას აძლევს ინსპექტორებს გადაწყვიტონ, გამოიძიონ თუ - არა კონკრეტული შემთხვევა, შერჩევის სპეციალური კრიტერიუმების გამოყენებით. მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუკი არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა და არ ხდება უბედური შემთხვევების რეგისტრირება, ინსპექტორებმა შეიძლება ინფორმაცია მიიღონ მედიის საშუალებებით, სოციალური დაცვის სამსახურებიდან, დაშავებული პირებისა და მათი ოჯახის წევრებისაგან. ეს ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას იმის გადასაწყვეტად, უნდა მოხდეს თუ - არა ინცინდენტის გამოძიება.

2. გამომძიებლობისათვის საჭირო უნარები

სანამ ინსპექტორები გამოძიებას შეუდგებიან, აუცილებელია ისინი გაეცნონ ეროვნულ კანონმდებლობას, საკუთარ უფლებამოსილებებს და ინსპექტორატის პროცედურებს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული საერთაშორისო პრაქტიკა არსებობს, წინამდებარე სახელმძღვანელო მხოლოდ საილუსტრაციო მაგალითებს იძლევა.

შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა მოიცავს არა მხოლოდ რეგულაციებს ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების დაცვის შესახებ, არამედ სამხილების შეგროვების პროცედურებს, განგრძობითობის საკითხებს, ასევე იმ წესებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია ჩვენების მოსაპოვებლად, იმის ჩათვლით, შეიძლება თუ - არ ამ პროცესს სხვა ადამიანებიც ესწრებოდნენ, როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის ჩაწერა, მაგ: ელექტრონულად თუ ქაღალდზე და როგორ უნდა იქნას ასეთი ჩვენება ხელმოწერილი.

როგორც მარეგულირებლები, ინსპექტორები კარგად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი საკუთარი უფლებამოსილების შესახებ, რომელიც განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით. ასეთი უფლებამოსილება ასევე გულისხმობს შენობაში/საწარმოს ტერიტორიაზე შესვლას წინასწარი შეტყობინების გარეშე, კვლევის ჩატარებას, რათა დარწმუნდნენ, რომ შესაბამისი რეგულაციები სრულდება, მოწმეების დაკითხვა, დოკუმენტური ინფორმაციის შეგროვება, აღსრულების ღონისძიების გატარება და ტესტირებისთვის მასალების შეგროვება.

ასევე ცნობილი უნდა იყოს ინსპექტორატის საგამოძიებო პროცედურები და პრაქტიკა. ეს შეიძლება მოიცავდეს საგამოძიებო ჯგუფის შემადგენლობას (შესაბამისი რესურსებით); პოლიტიკის დოკუმენტებს ანდა მემორანდუმებს უწყებათაშორისი თანამშრომლობის შესახებ; კომუნიკაციის პოლიტიკა (მედიასთან ურთიერთობა, დაშავებულ პირებთან და გარდაცვლილ პირთა ნათესავებთან ურთიერთობა, გამოძიების შედეგების საზოგადოებისთვის გაცნობა); დამსაქმებელთა და დასაქმებულთა წარმომადგენლების ჩართულობა გამომძიებაში, ანგარიშგება (საბოლოო, შუალედური და ფინანსური ანგარიშების შედგენა).

ინსპექტორებს ასევე დასჭირდებათ შემდეგი უნარ-ჩვევები:

- **ინტერგვირება** - უნარი, მიიღო შესაბამისი ინფორმაცია შეკითხვების ეფექტური დასმის საშუალებით.
- **კომუნიკაცია (მეპირი და წერილობითი)** - დაშავებულ პირებთან, მოწმეებთან და ეჭვმიტანილებთან, ასევე სხვა გამომძიებლებთან ეფექტური ურთიერთობის უნარი; გამოძიების შედეგების ფართო საზოგადოებისთვის და დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის გაცნობა;

- **ტექნიკური კომპეტენცია** - უსაფრთხო სამუშაო პროცედურების ცოდნა, რომლებიც უნდა იქნას მიღებული, განსაკუთრებით გამოძიების ქვეშ მყოფ ინცინდენტთან მიმართებით;
- **საფრთხის იდენტიფიცირება** - იმის უზრუნველყოფა, რომ დასაქმებულები და გამომძიებლები არ არიან გაუმართლებელი რისკის ქვეშ.
- **ინტერაქცია/ურთიერთობა** - პირადი უნარები, რომლებიც სხვა ადამიანებთან ეფექტური ურთიერთობების დამყარების საშუალებას იძლევა;
- **დედუქცია** - მოპოვებული ფაქტობრივი მასალის დამუშავება, მაგ: დაკვირვებით, მონშეების განცხადებებიდან და დოკუმენტური მასალებიდან, რის შედაგადაც იქმნება ერთიანი სურათი, რომელიც მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის საშუალებას იძლევა.
- **ორგანიზაციული** - მიღებული ინფორმაციის ორგანიზება და შენახვა.
- **დეტალებისადმი ყურადღების მიქცევა** - უნარი, რომ გამოძიების ყველა გონივრული საშუალება იქნას გამოყენებული

2.1 ინტერვიუს ჩატარების უნარები

გამოძიების ჩატარებისას ინსპექტორებს მოუწევთ მონშეებთან საუბარი, მათ შორის დამსაქმებლებთან, მენეჯერებთან, დასაქმებულთა წარმომადგენლებთან, დასაქმებულებთან და დაშავებულ პირებთან. შესაბამისად, მათ დასჭირდებათ ინტერვიუს ჩატარების უნარ-ჩვევების დახვეწა. ზემოთხსენებულ პირთაგან ინფორმაციის მიღება დამოკიდებულია არა მხოლოდ ინსპექტორების მიდგომებზე, არამედ მონშეების:

- წარსულ გამოცდილებაზე
- განათლებაზე და ტრენინგზე
- ასაკზე
- ფიზიკურ მდგომარეობაზე
- სტრესის დონეზე
- საზოგადოების წნეხზე
- პირად ინტერესებზე/ოჯახურ ცხოვრებაზე
- სამსახურით კმაყოფილებაზე/უსაფრთხოებაზე
- ამბიციებზე.

ამიტომ, გამომძიებელმა ეს საკითხები მხედველობაში უნდა მიიღოს, როდესაც მონშის დაკითხვას ანარმოებს და ახდენს მიღებული ინფორმაციის ანალიზს.

ინტერვიუს ჩატარების ერთ-ერთი ტექნიკა არის **"PEACE"** ინტერვიუ¹.

P დაგეგმარება და მომზადება
E ჩართულობა და ახსნა
A აღრიცხვ, გაარკვევ და იკითხე
C დახურვა
E შეფასება

დაგეგმვა და მომზადება: ინტერვიუს მიზანი არის ინფორმაციის მოპოვება, როგორც წესი, მოწმეებისადმი კითხვების დასმის გზით. გამომძიებელმა უნდა იცოდეს რა ინფორმაცია სჭირდება და რა კითხვების დასმით შეიძლება მისი მოპოვება. ინტერვიუს დაგეგმვა და მომზადება დამოკიდებულია იმაზე, თუ გამოძიება რა ეტაპზე იმყოფება და ვისი დაკითხვა ხდება. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა ინტერვიუს სჭირდება გარკვეული წინასწარი დაგეგმვა და მომზადება.

ამ ეტაპზე საჭიროა არა მხოლოდ დასასმელი შეკითხვების წინასწარი მომზადება, არამედ საჭირო რესურსების მობილიზებაც, რომლებიც საჭიროა ინტერვიუს წარმართვისთვის. გამომძიებელს შეიძლება დასჭირდეს მოწმის ჩვენების ჩაწერა. ეს ჩვენება წარმოადგენს დასმულ შეკითხვებზე პასუხს, ამას კი წინასწარი დაგეგმვა სჭირდება. ეროვნული კანონმდებლობა ან არსებული პრაქტიკა შეიძლება ადგენდეს მოწმეების დაკითხვის წესებს, მაგ: ორი ინტერვიუერის დასწრებას, ან ჩვენების ჩაწერის სპეციალურ პირობებს. თუკი ასეთი რეგულაციები არსებობს, გამომძიებელი მას უნდა დაემორჩილოს.

თუკი ინტერვიუს ორი პირი ატარებს, ისინი წინასწარ უნდა შეთანხმდნენ საკუთარი როლების შესახებ. როგორც წესი, არსებობს მთავარი ინტერვიუერი, რომელიც სვამს შეკითხვებს და ამოწმებს მიღებულ პასუხებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად. მეორე ინტერვიუერი იწერს მიღებულ პასუხებს, სვამს დამატებით შეკითხვებს, აჭამებს მოწმის პასუხებს და თხოვს მოწმეს დაადასტუროს, თუ რამდენად სწორად გაიგეს მისი პასუხების შინაარსი, ან დამატებით განმარტოს საკუთარი პასუხები. ეს საშუალებას აძლევს წამყვან ინტერვიუერს, მოამზადოს დამატებითი შეკითხვები. ასეთი პროცესი გამოიყენება მთელი ინტერვიუს განმავლობაში.

¹ PEACE - წარმოადგენს აბრევიატურას; ითარგმნება როგორც (P) დაგეგმარება და მომზადება; (E) ჩართულობა და ახსნა; (A) აღრიცხვ, გაარკვევ და იკითხე; (C) დახურვა, (E) შეფასება

ჩართულობა და ახსნა: ეს არის ინტერვიუს დასაწყისი. როგორც წესი ეს არის გამომძიებლის პირველი კონტაქტი მოწმესთან და შესაბამისად მნიშვნელოვანია მოწმესთან ან ეჭვმიტანილთან ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად. გამომძიებელმა უნდა აუხსნას, რა არის ინტერვიუს მიზანი და როგორ ჩატარდება ის. ეროვნული კანონმდებლობა ასევე შეიძლება განსაზღვრავდეს ინტერვიუს ჩატარების წესებსაც.

იმის გათვალისწინებით, რომ შეიძლება მოწმე მანამდე არასოდეს ყოფილა მსგავსი ტიპის ინტერვიუმ, მნიშვნელოვანია, რომ მან თავი კარგად იგრძნოს, რათა სწორი ინფორმაცია მიაწოდოს გამომძიებელს.

აღრიცხე, გარკვეე, იკითხე: ეს მოიცავს ინტერვიუების ორ ეტაპს. დასაწყისში გამომძიებელი ითხოვს მოწმისაგან მომხდარის მოყოლას. ამავდროულად ის ითვალისწინებს იმასაც, რომ თუკი გააწყვეტინებს საუბარს მოწმეს, მან შეიძლება დაკარგოს აზრი და, შესაბამისად, ის ინფორმაციაც, რომლის მიწოდებასაც აპირებდა. თავდაპირველად მოწმემ უნდა მიაწოდოს გამომძიებელს ინფორმაცია გამოძიების ყველა ასპექტის შესახებ, ამის შემდეგ კი შეუძლია გამომძიებელს დამატებითი შეკითხვები დასვას დაბუსტებისათვის.

მას შემდეგ, რაც გამომძიებელი მიიღებს პირველად ინფორმაციას მოწმისაგან, იწყება დამატებითი შეკითხვების ეტაპი, ზოგჯერ მოკლე შესვენების შემდეგ. ამ ეტაპზე მოწმეს ეკითხებიან იმ შეუსაბამოებების შესახებ, რომლებიც გამოჩნდა მის მონაყოლსა და მანამდე არსებულ ინფორმაციას შორის. ასეთი ახსნა-განმარტება მოთხოვნილ უნდა იქნას ისე რომ ეს არ ჰგავდეს ბრალდებას, რადგანაც ამ ეტაპზე გამომძიებელმა არ იცის მის ხელთ არსებული რომელი ინფორმაციაა ზუსტი.

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ გამომძიებელმა მოწმეს აჩვენოს, რომ მას უსმენს, როგორც წესი თვალებით კონტაქტის დამყარებით, თავის დაქნევით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საუბრისას მოკლედ ჩაინიშნოს მოწმის საუბარი და შეკითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ მაღლობა გადაუხაოს მოწმეს. უფრო მეტი შანსია რომ მოწმემ სრული და ბევრი ინფორმაცია მიაწოდოს გამომძიებელს, თუკი ის დარწმუნებულია, რომ მისი ნათქვამით მართლაც არიან დაინტერესებულნი. თუკი ასეთი ინტერესი არ იქნა გამოჩენილი გამომძიებლის მხრიდან, სავარაუდოდ მოწმე მხოლოდ მოკლე პასუხებს გასცემს მას და ინფორმაციაც დაიკარგება.

მოწმის დაკითხვა არის უნარი, რომლის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი.

დახურვა: როდესაც გამომძიებელი დარწმუნდება, რომ მიიღო სრული ინფორმაცია მოწმისაგან მან უნდა შეაჯამოს მიღებული ინფორმაცია, ჰკითხოვს მოწმეს, ეთანხმება თუ არა მას და თუ არა, მაშინ მოითხოვს დამატებითი განმარტება. ამის შემდეგ

შეიძლება ინტერვიუს დახურვა და მადლობის მოხდა მონმისთვის. ეს მნიშვნელოვანია, რადგან თუკი მონმეს პროფესიონალურად და პატივისცემით ეპყრობა გამოძიებელი, ის კიდევ დათანხმდება დამატებით ინტერვიუს. გამოძიებელმა ასევე უნდა უთხრას მონმეს, შემდეგ რას უნდა ელოდოს ის, მაგალითად ის, რომ მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას გაანალიზებს და მოამზადებს მის შესახებ ანგარიშს.

შეფასება: მას შემდეგ, რაც მოიპოვეთ ინფორმაციას მონმისაგან, საჭიროა მისი შეფასება გამოძიებლების მიერ, რათა დარწმუნდნენ, რომ ყველა კითხვაზე მიიღეს პასუხი. ასეთი შეფასების შედეგად შეიძლება აღმოჩნდეს, რომ საჭიროა დამატებითი ინტერვიუს ჩატარება, რათა მოხდეს ყველა საკითხის ამოწურვა და დახურვა.

2.2 მოწმის დაკითხვა

დაკითხვის დაწყებამდე გამოძიებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ შეძლებს მათთან კომუნიკაციის დამყარებას. აუცილებელია, რომ მონმეს ზუსტად ესმოდეს კითხვის შინაარსი; ზოგჯერ საჭირო შეიძლება გახდეს თარჯიმნის დახმარება.

ინტერვიუს დასაწყისში გამოძიებელმა ჯერ კიდევ არ იცის, თუ რა ინფორმაციას ფლობს მონმე. ის, თუ რა კითხვებს დასვამს გამოძიებელი, განაპირობებს მონმის პასუხებს და მიწოდებულ ინფორმაციას.

არსებობს შეკითხვების ორი ტიპი:

ღია კითხვები
დახურული კითხვები

ღია შეკითხვებს სჭირდებათ უფრო გრძელი, ალბათ მეტად აღწერილობითი, პასუხი; ასეთ შეკითხვაზე არ შეიძლება გაეცეს პასუხი ერთი სიტყვით. (მაგ: თუ შეიძლება აღწერეთ, რა ხდებოდა უბედური შემთხვევის დროს?)

დახურულ შეკითხვებზე შეიძლება პასუხის გაცემა ერთი სიტყვით და შეიძლება გამოყენებულ იქნან ფაქტების დასადგენად (მაგ: სამსახურში მანქანით მიხვედით? რამდენი წლის ხართ? გუშინ იყავით სამსახურში?)

ინტერვიუერს უნდა შეეძლოს მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა, ანუ ისეთი შეკითხვებისა, რომლებსაც შეუძლიათ მონმეს გარკვეული მინიშნება ან მოსაზრება მისცეს, როგორც წესი სასურველ პასუხზე მინიშნებით ან შეთავაზებით. ასეთი შეკითხვა შეიძლება იყოს როგორც ღია, ასევე დახურული. მაგალითად:

- რატომ მოძრაობდა ავტომობილი სწრაფად? ეს არის ღია მიმანიშნებელი შეკითვა, რომელზეც მოწმე საგარაუდოდ აღწერილობით პასუხს გასცემს, იმ შემთხვევაშიც, კი თუ ის არ ფიქრობდა, რომ ავტომობილი სწრაფად მოძრაობდა.
- ფიქრობთ, რომ დაზარალებული ჩქარობდა? ეს არის დახურული მიმანიშნებელი შეკითვა, რომელზეც პასუხი იქნება 'კი' ან 'არა'. მოწმემ შეიძლება თქვას 'კი' იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ის არ თვლიდა, რომ დაზარალებული ჩქარობდა.

განვიხილეთ შემდეგი მაგალითებიც:

1. რა სისწრაფით მოძრაობდა ავტომობილი, როდესაც ის ძლიერად დაეჯახა მეორე ავტომობილს?
2. რა სისწრაფით მოძრაობდა ავტომობილი, როდესაც ის დაეჯახა მეორე ავტომობილს?
3. რა სისწრაფით მოძრაობდა ავტომობილი, როცა ის მსუბუქად დაეჯახა მეორე ავტომობილს?
4. შეგიძლიათ შეაფასოთ ავტომობილის მოძრაობის სისწრაფე ავარიისას?
5. რას ფიქრობთ ორივე ავტომობილის მოძრაობის სისწრაფეზე ავარიისას?

პირველი სამი შეკითხვა არის მიმანიშნებელი შეკითხვების მაგალითები, რომლებსაც ზევითაა ქვევით თუ განვიხილავთ, შეუძლიათ მოწმის გონებაში შეამცირონ მანქანის მოძრაობის სისწრაფე. ჩანს, რომ კითხვის ფორმულირებაში უკვე მოცემულია შეჯახების ინტენსივობა, პირველ შემთხვევაში უფრო ძლიერი, ხოლო მესამე შეკითხვაში - ყველაზე სუსტი. მაგალითები 4 და 5 უფრო ნეიტრალურია, თუმცა მეოთხე შეკითხვა დახურული შეკითხვაა, რადგანაც მოწმეს შეუძლია უპასუხო 'არა'. მეხუთე შეკითხვა არის ღია შეკითხვა, რომელზეც პასუხი გამოძიებას საჭირო ინფორმაციას მიაწვდის.

გამომძიებელი ასევე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მოწმეს შეუძლია მის შეკითხვებზე პასუხის გაცემა. მაგალითად, არ იქნება შესაფერისი ასეთი შეკითხვის დასმა: 'თქვენს უფროსსაც შეეძლო ყველაფრის დანახვა?' რადგანაც მოწმეს არ შეუძლია იცოდეს, თუ რისი დანახვა შეეძლო სხვას.

გამომძიებელმა ასევე უნდა იცოდეს 'ირიბი მტკიცებულებით მოპოვებული ინფორმაციის' შესახებაც, ეს არის ინფორმაცია, რომელიც მოწმემ შეიძლება მიიღოს ვინმე სხვა ადამიანისაგან. მაგალითად, თუკი მოწმეს ეკითხებიან 'როგორ იყო დანადგარი მოწყობილი უბედური შემთხვევის მომენტში?' და ის პასუხობს, რომ 'ამა და ამ ადამიანმა მითხრა, რომ დამცავი არ იყო სათანადოდ დამაგრებული',

ეს წარმოადგენს ირიბი მტკიცებულებით მოპოვებულ ინფორმაციას, რადგან მოწმე ამტკიცებს, რომ თავისმა თანამშრომელმა მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც პირადად მას არ გააჩნდა. ასეთ შემთხვევაში, გამომძიებელმა ჭერ უნდა მოახდინოს ხსენებული თანამშრომლის იდენტიფიცირება და მერე გაარკვიოს როგორ იყო დანადგარი მოწყობილი.

მრავალი ინტერვიუს დროს გამომძიებლები მოწმეებს აჩვენებენ დოკუმენტებსა და ფოტოებს. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია, რომ ეს დოკუმენტები სათანადოდ იყოს დასათაურებული.

მაგალითად, თუკი ქვემოთ მოყვანილი ფოტო დასათაურებულია 'AFC1' და მას აჩვენებენ მოწმეს და სთხოვენ, რომ აღწეროს ის, მოწმე გამოიყენებს საკუთარ სიტყვებს. მაგრამ თუკი სურათი დასათაურებული იქნება შემდეგნაირად 'AFC 1 აჩვენებს უყურადღებოდ მიტოვებულ კუთხოვან სახეხ ჩარხს დენის წყაროში არასათანადო ჩამრთველით', მოწმე ისაუბრებს იმის შესახებ, თუ რა წერია სათაურში და არა იმის შესახებ, რასაც თვითონ დაინახავს ფოტოზე.



ზემოთხსენებული საკითხები უნდა იქნას გათვალისწინებული ინტერვიუს დაგეგმვისას, წინასწარ უნდა იქნას გადაწყვეტილი, თუ რა მასალას აჩვენებენ მოწმეს და რა შეკითხვას დაუსვამენ მას. თუმცა ინტერვიუს დროს შეიძლება გაჩნდეს ახალი საკითხები, რასაც დასჭირდება დამატებითი დაგეგმვა, იმის მოსაფიქრებლად, თუ რა დამატებითი შეკითხვების დასმა გსურთ.

მოწმის დაკითვის კიდეც ერთი მეთოდი ცნობილია როგორც 'ძაბრის' მეთოდი, რომლის დროსაც ზოგადი ინფორმაცია გროვდება შეკითხვების დასმით, რომელსაც მოსდევს დახურული შეკითხვები უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად.

ყველაზე ხშირად გამოყენებულ ღია შეკითხვებს უწოდებენ **TED** შეკითხვებს, ანუ (**Tell**) მოყოლა, (**Explain**) ახსნა, (**Describe**) აღწერა.

- შეგიძლიათ **მომიყვით** . . . რას აკეთებდით უბედური შემთხვევის დროს? . . . რა დაინახეთ? . . . სად იყავით?
- გთხოვთ **ახსნათ**, . . . რა ხდებოდა უბედური შემთხვევის დროს? . . . როგორ სრულდებოდა სამუშაო?
- გთხოვთ **აღწერეთ**, . . . რა დაინახეთ უბედური შემთხვევის დროს?

დახურული შეკითხვების მაგალითები:

- როდესაც ჩვეულებრივ ხერხთან მუშაობთ, დამცავი საფარი ადგილზეა?
- რა დროს მოხდა უბედური შემთხვევა?
- ვინ გასწავლათ ხერხთან მუშაობა?
- იცით სად არის ხერხის გამოყენების ინსტრუქცია?

გახსოვდეთ: როდესაც ატარებთ ინტერვიუს, ნუ გამოავლენთ საკუთარ ემოციებს, არ დაეთანხმით ან შეეწინააღმდეგოთ მოწმეს, არ დაეხმაროთ მას პასუხის გაცემაში, რადგანაც თქვენ გაინტერესებთ იმ ინფორმაციის მიღება, რომელიც მას გააჩნია. თუკი ისინი დაიწყებენ საკუთარი შეხედულების გამოთქმას, ან ახსნა-განმარტებებს, ან ბოლიშის მოხდას შეეცდებიან, ზრდილობიანად სთხოვეთ მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით ისაუბრონ.

3. გამოძიების მთავარი ეტაპები

უბედური შემთხვევის გამოძიების ექვსი ძირითადი ეტაპი არსებობს:

1. გამოძიების დაწყებამდე მომზადება
2. ინფორმაციის მოგროვება
3. ინფორმაციის გაანალიზება
4. პრევენციის/რისკის კონტროლის მექანიზმების იდენტიფიცირება
5. სამოქმედო გეგმის განხორციელება
6. ანგარიშის დაწერა/ინფორმაციის დოკუმენტირება

3.1 მომზადება გამოძიების დაწყებამდე

მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნება გადაწყვეტილება უბედური შემთხვევის გამოძიების შესახებ, გამომძიებელი ინსპექტორი/ები ვალდებული არის/არიან რამდენიმე საკითხი მოაგვარონ, სანამ უშუალოდ საქმეს შეუდგებოდნენ.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სანარმოვო მიიღოს შეტყობინება იმის შესახებ, რომ გარდა გადაუდებელი დახმარებისა - მაგ: პირველადი დახმარების გაწევა, უბედური შემთხვევის ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც ზოგჯერ მანამდეა გასაკეთებელი, ვიდრე პირველადი დახმარების გაწევა მოხდება - უბედური შემთხვევის ადგილი ხელუხლებლად უნდა დარჩეს. ინსპექტორები რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეუდგნენ გამოძიებას, უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ. უბედური შემთხვევის ადგილის მონახულება საჭიროა ძალიან მცირე დროში.

ნაკლებად სერიოზული შემთხვევებისას ინსპექტორებმა შეიძლება არ იქნარონ ადგილის მონახულება, ამიტომ კარგი იქნება თუკი დამსაქმებლის ანდა დასაქმებულთა წარმომადგენელი ფოტოებზე აღბეჭდავს მომხდარს. რა თქმა უნდა ინსპექტორებს მოუწევთ ფრთხილად მოევიდონ ასეთ ფოტოებს გამოძიების მსვლელობისას.

ამავდროულად, ინსპექტორები უნდა:

(1) დარწმუნდნენ, რომ სრულად იცნობენ:

- შესაბამის კანონმდებლობას სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის შესახებ, ისევე როგორც სამხილების შეგროვების შესახებ ეროვნულ კანონმდებლობას

- საკუთარ უფლებამოსილებას
 - საგამოძიებო პოლიტიკის/პროცედურების შესახებ, მათ შორის სხვა სააგენტო-ებთან არსებული მემორანდუმების შინაარსებს
- (2) განსაზღვრონ, სჭირდებათ თუ - არა დახმარება კოლეგებისაგან. რიგ შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს სასარგებლო, რადგან ფატალური შედეგით დასრულებული უბედური შემთხვევის ან ისეთი ინციდენტის გამოძიებისას, რომლებიც განსაკუთრებულ საფრთხეს შეიცავენ, საჭირო შეიძლება გახდეს კონკრეტული სფეროს სპეციალისტის დახმარება. თუმცა გამოძიება შეიძლება ჩატარდეს ერთი გამომძიებლის მიერაც, რომელსაც შესაფერისი გამოცდილება აქვს.
 - (3) შეაგროვონ ნებისმიერი ინფორმაცია ან ჩანაწერი საწარმოს შესახებ, რომელიც გააჩნია ინსპექტორატს, რათა ინსპექტორს ჰქონდეს საბაზისო ინფორმაცია, მაგალითად დასაქმებულთა რაოდენობის, განხორციელებული პროცესების ტიპოლოგიის, უბედური შემთხვევების, საწარმოს ინსპექტორატის მიმართ დამოკიდებულების, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მართვის სისტემის შესახებ.
 - (4) დარწმუნდნენ, რომ სახეზეა პირადი დაცვის ხელსაწყოები; ინსპექტორებმა მუშაობისას საკუთარ თავს საფრთხე არ უნდა შეუქმნან და ამავე დროს მაგალითი უნდა მისცენ დამსაქმებულებსა და დასაქმებულებს. მაგალითად, არ იქნებოდა სწორი, თუკი ინსპექტორი სამშენებლო მოედანზე შევიდოდა დამცავი ფეხსაცმელისა და მყარი სამშენებლო ქუდის გარეშე.
 - (5) დარწმუნდნენ, რომ აქვთ შესაბამისი ხელსაწყოები ადგილზე არსებული პირობების დოკუმენტირებისათვის და ინფორმაციის ჩასაწერად, მათ შორის ფოტოაპარატი ანდა ვიდეო კამერა (გახსოვდეთ, თან უნდა გქონდეთ ბატარეების საკმარისი რაოდენობა), მანძილმზომი, რვეული, საწერი საშუალება, ფანარი და მობილური ტელეფონი.
 - (6) უზურნველყოფილნი უნდა იყვნენ შესაბამისი იურიდიული დოკუმენტაციით. ასეთი დოკუმენტების ჩამონათვალი განსაზღვრული იქნება ეროვნული კანონმდებლობით, მაგრამ შეიძლება მოიცავდეს შემთხვევებზე შეტყობინებას, ჩვენების ფორმებს, ფიზიკური საშიშროების აღრიცხვისა და დანიშვნის საშუალებებს, ასევე სხვა ტიპის დოკუმენტებს, რომლებიც ინსპექტორებს შეიძლება დასჭირდეთ გამოძიების საწყის ეტაპზე, მაგ: საწყისი ანგარიშებისა და შიდა მენეჯმენტისათვის საჭირო ფორმები; ასეთი დოკუმენტების ნუსხა შეიძლება განსხვავდებოდეს ინციდენტის სიმძიმის შესაბამისად.

- (7) იქონიონ სახელმძღვანელო მასალები. თუკი წინასწარ ცნობილია, რომ უბედურ შემთხვევაში ასევე ფიგურირებდა მანქანა-დანადგარები, მაშინ ინსპექტორმა სანარმოს უნდა მიანოდოს ინფორმაცია ასეთი მანქანა-დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ. ასეთი მასალები გამომძიებლისათვისაც შეიძლება იყოს სასარგებლო.
- (8) თან იქონიონ წყალი და საკვები, რადგან წინასწარ არ ეცოდინებათ რამდენი ხნის განმავლობაში მოუწევთ გამოძიების ადგილზე ყოფნა; საკუთარი საჭიროებების შესახებ ზრუნვა ასევე ხაზს უსვამს მათ მიუკერძოებლობას და დამოუკიდებლობას.
- (9) დარწმუნდნენ, რომ აქვთ შესაბამისი საიდენტიფიკაციო დოკუმენტები, პირადობის დამადასტურებელი და სავიზიტო ბარათები.
- (10) დარწმუნდნენ, რომ ზუსტად იციან ინცინდენტის ადგილმდებარეობის შესახებ და ის, თუ როგორ უნდა მივიდნენ ამ ადგილზე.

3.2 ინფორმაციის შეგროვება

როდესაც ინსპექტორები ინცინდენტის ადგილას მივლენ, მათ უკვე შეუძლიათ ინფორმაციის მოგროვების დაწყება, რაც საშუალებას მისცემს მათ უპასუხონ გამოძიების ძირითად შეკითხვებს, რათა გაარკვიონ რა მოხდა. ეს სავალდებულო ნაბიჯია, სანამ მოხდება მსგავსი შემთხვევის განმეორებისა და თავიდან აცილებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმების იდენტიფიცირება. ეს გამოძიების უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ამიტომ არ უნდა იქნას უგულებელყოფილი.

ინსპექტორებმა ინფორმაცია უნდა მიიღონ დაზარალებულისაგან, იმ ადამიანები-საგან, ვინც დაინახეს ინცინდენტი და სხვა მოწმეებისაგან, მაგ: მუშების ან მენეჯერებისგან. ისინი ინფორმაციას ასევე მიიღებენ საკუთარი თვალით ნანახი მდგომარეობიდან, ფოტოებიდან და დოკუმენტებიდან, ასევე დანადგარების შემონმებით და ნიმუშების აღებით.

მიღებული ინფორმაცია სრულად უნდა ასახავდეს ინცინდენტის ადგილს, ხელსაწყობსა და მათ მდგომარეობას ინცინდენტის დროისთვის, სამუშაო პირობებს და იმ მდგომარეობას, რომელშიც მიმდინარეობს სამუშაოები.

ინფორმაცია, რომელსაც ეწოდება სამხილები, როგორც წესი, კლასიფიცირებულია სამ კატეგორიად:

1. **მოწმის ინფორმაცია/სამხილები**, მაგ: ინფორმაცია მოპოვებული ხალხისგან
2. **ფიზიკური ინფორმაცია/სამხილები**, მაგ: მანქანა-დანადგარების ნაწილები, მტვერი ან ქიმიური ნიშნები, პირადი დამცავი ხელსაწყოები.
3. **დოკუმენტური ინფორმაცია/სამხილები**, მაგ: მწარმოებლის ინსტრუქციები, სანარმოს ჩანაწერები, უსაფრთხოების მონაცემები, ფოტოები და უსაფრთხოების მიზნით წარმოებული ვიდეოდაკვირვების ჩანაწერები.

გამოძიების ჩატარებისას უჩვეულო არ არის დიდი რაოდენობით ინფორმაციის შეგროვება და შემდეგ მისი წარმომავლობის დადგენა. ამიტომ მნიშვნელოვანია წინასწარ ამ ინფორმაციის ჩაწერის და სისტემატიზების მეთოდის შეთანხმება.

მოწმის ჩვენება შეიძლება ჩაწერილ იქნას განცხადების ფორმაში ან ინსპექტორის რეგულში. ის თუ რა მეთოდს გამოიყენებს ინსპექტორი განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით, ეროვნული კანონმდებლობით, იმის მიხედვით თუ რა ეტაპზეა გამოძიება, ის თუ რა ტიპის ინფორმაციაა საჭირო. მოწმის დაკითვასა და გამოძიებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ჩაიწერს პირის სრულ სახელს, დაბადების თარიღს, სამუშაო ადგილს, თანამდებობას და საიდენტიფიკაციო ინფორმაციას. ეს იმის გარანტიაა, რომ გამოძიებელი ადვილად მიაგნებს მოწმეს საჭიროების შემთხვევაში.

ფიზიკური ინფორმაციის შეგროვებისას, მნიშვნელოვანია ზუსტად ჩაიწეროს ის, თუ სად და რა ტიპის ინფორმაცია იქნა მოპოვებული. სურათების გადაღებისას, სასარგებლო იქნება რამე მეთოდოლოგიის გამოყენება, მაგალითად, დაიწყოთ ზოგადი სცენით, შემდეგ უფრო და უფრო მიუახლოვდეთ ინციდენტის ადგილს. სადაც შესაძლებელი იქნება, მანქანა-დანადგარების სურათები უნდა იქნას გადაღებული მანამ, სანამ მათ ადგილს შეუცვლიან. ეროვნული კანონმდებლობა შეიძლება აკონკრეტებდეს თუ როგორ უნდა მოვეცუროთ ასეთ ინფორმაციას, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამხილების თანმიმდევრულობა და ინსპექტორმა უნდა იცოდეს ამ მოთხოვნების შესახებ.

დოკუმენტური სამხილების შეგროვებისას, მაგ: ფოტოების გადაღებისას, ინსპექტორი უნდა დარწმუნდეს, რომ მიუთითებს თუ რას აღბეჭდავს თითოეული მათგანი. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება აშკარა იყოს, ამ ჩვენების გამოშვება მნიშვნელოვანია. სასარგებლო იქნება ასევე ფოტოების შესახებ ინფორმაციის ჩასაწერად ფორმის შემუშავებაც:

საწარმოში გადაღებული ფოტოები:		
თარიღი:		დრო:
ფოტოგრაფის სახელი	ფოტოს ნომერი	ფოტოს აღწერა

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ყველა ფოტო იქნება საჭირო გამოძიებისას, მაგრამ ისინი, რომელიც დასჭირდება გამომძიებელს, ზუსტად უნდა იყოს დოკუმენტირებული და ჰქონდეს საიდენტიფიკაციო ნომერი. თუკი ასეთ ნომერი არსებობს, მაშინ შეიძლება ამ ინფორმაციის ქვემოთმოყვანილ გრაფაში ჩანერა.

როდესაც დოკუმენტებს იღებს გამომძიებელი კერძო პირებისაგან, მან უნდა ჩაიწეროს დოკუმენტის შინაარსი, ვინ მიაწოდა ეს დოკუმენტი, თარიღი და დრო, მაგ: 'მივიღე ქ-ბნ სარა ჯონსისაგან 12/4/12, 13:15 საათზე, თხუთმეტ გვერდიანი დოკუმენტი, სათაურით 'ცირკულარული ხერხის მოდელ ფრიმან 183-ის გამოყენების სახელმძღვანელო ინსტრუქცია'. ამ შემთხვევაში დოკუმენტის სახელი იქნება SJ1. კარგი იქნება, თუ ადამიანი, რომელიც ამ ინფორმაციას მოგაწვდით, ხელსაც თუ მოაწერს ინფორმაციის გადაცემის ფაქტს, განსაკუთრებით თუკი ამას ეროვნული კანონმდებლობაც ითვალისწინებს.

ასეთი ინფორმაციის ჩანაწერების ჟურნალის წარმოება ინსპექტორს საშუალებას მისცემს ადვილად მიაგნოს საჭირო ინფორმაციას:

სამხილის ნომერი	სამხილის საიდენტიფიკაციო ნომერი	სამხილის აღწერა	მიღების თარიღი, მომწოდებელი	მოწოდებულია (მონმე და განცხადების ნომერი)	გვერდი / აბზაცი	შენახვის ადგილი
1	SJ1	თხუთმეტ გვერდიანი დოკუმენტი, სათაურით 'ცირკულარული ხერხის მოდელ ფრიმან 183-ის გამოყენების სახემძღვანელო ინსტრუქცია'.	ქ-ნი სარა ჯონსი, 12/4/12, 13.15 სთ			სამხილების საცავი
2	CFS1	ცირკულარული ხერხის მოდელ ფრიმან 183-ის ფოტო	ბ-ნი კარლოს ფლორეს სანჩესი, 12/4/12, 10.20 სთ			

დანარჩენი ინფორმაცია მაშინ შეიძლება იქნას ცხრილში შეტანილი თუკი და როცა მას მიიღებს გამომძიებელი.

ასეთივე ფორმის გამოყენება შეიძლება ჩვენებების ჩასაწერადაც:

ჩვენების ნომერი	თარიღი	მოწმის სრული სახელი	როლი/თანამდებობა
1	13/4/12	პაბლო მარტინესი	დაზარალებული/დასაქმებული - ცირკულარული ხერხის ოპერატორი
2	15/4/12	ტომას ენდრიუ უოტსონი	დასაქმებული - ცირკულარული ხერხის ოპერატორი
3	18/4/12	ჯეინ სავაჟი	დასაქმებული - მანქანა-დანადგარების საამქროს ზედამხედველი

ორივე ზემოთაღწერილ შემთხვევაში ადგილი იქნება ინფორმაციის მიგნება დამატებითი განხილვისთვის, თუკი ისინი ნომრის მიხედვით იქნება დახარისხებული.

ინცინდენტის ადგილას მისული ინსპექტორები დაინწყებენ ისეთი ინფორმაციის ძებნას, რომელიც მათ საშუალებას მისცემს პასუხი გასცეს გამოძიების ძირითად კითხვებს, მაგ:

- სად და როდის მოხდა ინცინდენტი.
- დაზიანების კონკრეტული დეტალები და სიმძიმე, როგორ იქნა ისინი გამოწვეული, დასაქმებულის თანამდებობა, სამუშაო გამოცდილება, დაბადების თარიღი და საკონტაქტო ინფორმაცია;
- სამუშაოს დეტალური აღწერა, რომელშიც იყო ჩართული დაზარალებული თანამშრომელი და რა ტიპის სამუშაო სისტემა გამოიყენებოდა ინცინდენტის დროს.
- გამოყენებული მანქანა-დანადგარების დეტალები: მოდელი, სერიული ნომერი, ასევე სხვა ტიპის ხელსაწყოების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის კიბე, ხარაჩოები, ელექტრო კაბელი და პირადი დაცვის მოწყობილობები ინფორმაცია მანქანა-დანადგარების მდგომარეობის შესახებ, მათ შორის ადგილმდებარეობა, შენახვის პირობები, ჩამრთველ-გამომრთველის მდგომარეობა ინცინდენტამდე და მის შემდეგ.
- ინცინდენტის ადგილას მყოფი პირების სახელები, საკონტაქტო ინფორმაცია და თანამდებობები, ასევე ინფორმაცია მათი საქმიანობის და სამუშაო სისტემის შესახებ.
- ინფორმაცია სამუშაო სისტემის შესახებ, რომელშიც ჩართული იყო დაზარალებული, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა განსხვავება არსებობდა ამ სისტემის ფუნქციონირებისას ინცინდენტის დროს, მის ჩვეულ პირობებთან შედარებით.
- გარემო პირობები ინცინდენტის დროს, მაგ: დღის რომელი მონაკვეთი იყო, რა კლიმატური პირობები იყო.
- სამუშაოზე არსებული ზოგადი პირობები, მათ შორის შიდა სამეურნეო საკითხები, განათებისა და ხმაურის დონე, ავტომობილების მოძრაობა, ვენტილაცია, დასაქმებულთა კეთილდღეობისთვის არსებული პირობები.

ინსპექტორებს შეიძლება დასჭირდეთ ინფორმაცია, რომელიც შეიძლება შეიცავდეს შემდეგს, მაგრამ ამით არ ამოიწურებოდეს:

- დაზარალებულის კონტრაქტი დამსაქმებელთან, მათ შორის ინფორმაცია კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში მონაწილეობის შესახებ

- გამოყენებული მანქანა-დანადგარების უსაფრთხოების და შემოწმების შესახებ ინფორმაცია.
- გამოყენების ინსტრუქცია.
- ნებისმიერი გამოყენებული ნივთიერების შესახებ უსაფრთხოების ინფორმაცია.
- საწარმოს ინსპექტირების შესახებ ინფორმაცია.
- სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მართვის კომიტეტის სხდომების ოქმები.
- მანამდე მომხდარი ინციდენტების ანგარიშები.
- საწარმოს თანამშრომლების მიერ გადაღებული ფოტოები, უსაფრთხოების მიზნით წარმოებული ვიდეო დაკვირვების ჩანაწერები.

ინციდენტის ადგილზე მისვლა

როდესაც ინსპექტორები მივლენ ინციდენტის ადგილზე, მათ უნდა შეატყობინონ საკუთარი მისვლის შესახებ შესაბამის პირებს, აუხსნან მისვლის მიზანი და ამის შემდეგ უნდა ნახონ უშუალოდ ინციდენტის ადგილი.



ინსპექტორები ფრთხილად უნდა მიუახლოვდნენ ინციდენტის ადგილს და დარწმუნდნენ, რომ იქ ყოფნა უსაფრთხოა. მათ საკუთარ თავს ან სხვებს საფრთხე არ უნდა შეუქმნან. მაგალითად, თუკი იძიებენ შემთხვევას, როდესაც ადამიანი მომწამლავი აირების მხვერპლი გახდა, აუცილებელია იქ შესვლამდე დარწმუნდნენ, რომ ამის შემდეგ მოხდა ტერიტორიის განიავება. ადგილზე მყოფმა სხვა ადამიანებმა შეიძლება თვითონ შეაფასონ სიტუაცია და თქვან, რომ იქ ყოფნა უსაფრთხოა, მაგრამ ინსპექტორები თვითონ უნდა დარწმუნდნენ, რომ იქ ყოფნა არ წარმოადგენს საფრთხეს საკუთარი და სხვათა ჯანმრთელობისთვის.

ადგილის შეფასებისას ასევე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოებაც, რომ მაშველთა სამსახურს პირველადი გადაუდებელი დახმარების განვების მიზნით შეიძლება უკვე შეეცვალოს ინცინდენტის დროს არსებული გარემოებები. ეს უნდა იქნას დადგენილი გამოძიების დროს.

ინსპექტორებს ასევე უნდა ახსოვდეთ, რომ ეს მათი გამოძიებაა; სწორედ მათ უნდა დაადგინონ მოვლენათა თანმიმდევრობა, რა ინფორმაცია უნდა მოიძიონ და რა ღონისძიებები უნდა გაატარონ; ისინი ამ პროცესში არ უნდა ხელმძღვანელობდნენ საწარმოს ადმინისტრაციის ან ვინმე სხვა პირის მითითებებით. ინცინდენტის ადგილის მონახულება როგორც წესი პირველი ქმედებაა, რომელსაც ინსპექტორები ატარებენ. ბუნებრივია, რომ ის პირები, რომლებსაც გამოძიებელი შეხვდება, უკვე იყვნენ ამ ადგილას და აქვთ ჩამოყალიბებული საკუთარი აზრი მომხდარის შესახებ. თუკი ისინი ამ მოსაზრებების გაზიარებას დაიწყებენ, ინსპექტორებს შეუძლიათ ზრდილობიანად მიუთითონ, რომ ეს ინფორმაცია მოგვიანებით შეგროვდება და რომ ჯერ მათთვის მნიშვნელოვანია ადგილის მონახულება, რის შემდეგაც შეიძლება გამოძიების დაწყება. ინსპექტორებს უნდა ახსოვდეთ, რომ ინცინდენტის ადგილის მონახულებისას ღიაობა უნდა გამოიჩინონ, რადგან მათ ჯერ კიდევ არ იციან, რა მოხდა.

ზოგიერთ შემთხვევაში გამოძიებაში შეიძლება ჩართულნი იყვნენ სხვა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებიც, მაგალითად პოლიცია ან გარემოსდაცვის სააგენტო. ინსპექტორები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ უწყებათაშორისი შეთანხმებების შესახებ და უნდა იცოდნენ, რომელი უწყებაა წამყვანი კონკრეტული გამოძიებისას, ასევე როგორ მოხდება შეგროვილი სამხილების გაზიარება და მართვა. სხვა უწყებებმა შეიძლება ასევე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიანოდოს ინსპექტორებს, რომლებიც ასევე ღია უნდა იყვნენ ინცინდენტის ადგილის მონახულებისას.

ინსპექტორებს უნდა ახსოვდეთ ინფორმაციის ჩასაწერად სხვადასხვა ხერხის გამოყენება, მაგ: ფოტოაპარატი, რვეულში ჩანაწერის გაკეთება, ჩანახატის გაკეთება. მათ არ უნდა იჩქარონ, უმჯობესია ძალიან ბევრი ინფორმაცია მოიპოვონ, ვიდრე რამე მნიშვნელოვანი გამორჩეთ.

ინცინდენტის სირთულიდან გამომდინარე, ინსპექტორებმა შეიძლება ყველა საჭირო ინფორმაცია პირველივე ჯერზე ვერ შეაგროვონ. ერთი ვიზიტი შეიძლება საკმარისი იყოს მარტივი შემთხვევების გამოსაძიებლად, მაგრამ რთული შემთხვევების გამოსაძიებლად ჯერ საჭირო შეიძლება გახდეს იმ პირების იდენტიფიცირება, რომლებთანაც შეიძლება საუბარი, მას შემდეგ რაც გაანალიზებენ მიღებულ ინფორმაციას.

პირველად ინცინდენტის ადგილზე მისვლის და პირველადი ინფორმაციის შეგროვების შემდეგ, შეიძლება სასარგებლო იყოს, რომ ინსპექტორებმა მოახდინონ დისტანცირება ინცინდენტის ადგილიდან, რათა წყნარად შეძლონ ინფორმაციის გაანალიზება, მანამ სანამ დაელაპარაკებიან მოწმეებს. ეს საშუალებას მისცემთ მათ წინასწარ დაგეგმილ საკუთარი შეკითვები, იმის გათალისწინებით, რომ მათ შეიძლება კონკრეტულ მოწმესთან საუბრის მეტი შანსი აღარ ჰქონდეთ, ვიდრე მოწმეები ერთმანეთში განიხილავდნენ ამ საკითხებს. შესაბამისად, შემდეგ უკვე რთლი იქნება ობიექტური ინფორმაციის მიღება. კიდევ ერთხელ, ინსპექტორებს უნდა ახსოვდეთ, რომ ეს არის მათი გამოძიება და ის უნდა პროგრესირებდეს მათი გეგმების შესაბამისად.

იმის გამო, რომ შეიძლება არ იყოს საკმარისი დრო და რესურსები პირველივე ვიზიტისას ყველა მოწმე რომ დაიკითხოს, ამიტომ საჭიროა წინასწარ განისაზღვროს ის თანმიმდევრობა, რომლის მიხედვითაც მოხდება მოწმეების დაკითხვა და მათ ჩვენებების დოკუმენტირება. ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც პირველი ვიზიტისას ინსპექტორებს შეუძლიათ მიიღონ ის ინფორმაცია, რომელიც თავად მოწმემ იცის და არა ის, რომელიც მას სხვებისგან გაუგია.

ინცინდენტის ადგილზე წასვლამდე

ინსპექტორებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი ერთ-ერთი მოვალეობაა იმის უზრუნველყოფა, რომ სამუშაო პირობები არის უსაფრთხო დასაქმებულთა ჯანმრთელობისათვის და მუშაობისთვის. ამის უზრუნველყოფა შესაძლებელია თუკი ხდება შესაბამისი კანონმდებლობის დაცვა.


როდესაც ინსპექტორები ნახულობენ ინცინდენტის ადგილს, არ იქნება მისაღები თუკი ისინი ისე წამოვლენ ადგილიდან, რომ არ დარწმუნდებიან, რომ ინცინდენტის გამომწვევი მიზეზი კიდევ სხვაგანაც არსებობს. მაგალითად, თუკი ინცინდენტის მიზეზი იყო უყურადღებოდ მითოვებული დაზგა, ინსპექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ ყველა სხვა დაზგა საწარმოში არის დაცული. მათ შეიძლება არ ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ საწარმოს ყველა ადგილი მოინახულონ, მაგრამ უნდა მიიღონ პირობა დასაქმებულებისაგან და ადმინისტრაციისგან, რომ ისინი მუშაობენ უსაფრთხო გარემოში.

3.3 ინფორმაციის ანალიზი

ინფორმაციის შეგროვების შემდეგ, ინსპექტორებმა უნდა მოახდინონ მისი ორგანიზება და ანალიზი, რათა დაადგინონ ინცინდენტის ყველა გამომწვევი ფაქტორი უშუალო, ძირითადი და არსებითი (რა და რატომ მოხდა). როგორც წესი, უშუალო და ძირითადი მიზეზი ადვილი დასადგენია, უფრო რთულია არსებითი მიზეზის პოვნა.

უშუალო მიზეზის მაგალითია დაზიანების გამომწვევი, ამ შემთხვევაში ხერხის პირი ან ქიმიური ნაერთი. ძირითადი მიზეზის მაგალითია დაზგის დამცავი მოწყობილობის არარსებობა ან დაზგის არასადასადლო გამოყენება ინსტრუქციის შესაბამისად. არსებითი მიზეზის მაგალითი შეიძლება იყოს დაბალი ხარისხის ნაგებობა და დაზგის მოწყობა, ზედმეტი სტრესი, უსაფრთხო სამუშაო პირობების არარსებობა (რაც რისკის შეფასების ჩატარებითაა შესაძლებელი), ან იმის უზრუნველყოფა, რომ უსაფრთხო სამუშაო პირობები გარანტირებულია სამუშაო ადგილზე.

ინფორმაციის ორგანიზების ერთ-ერთი ფორმა შეიძლება იყოს მოვლენათა განვითარების ცხრილის შექმნა:



როგორც ზემოთ მოცემული მაგალითი ცხადჰყოფს, ცხრილი კარგი საშუალებაა იმის დასადგენად, თუ რა მოხდა - ამ შემთხვევაში კოჯის უბედური შემთხვევა - მაგრამ არ გვეხმარება იმის გარკვევაში თუ რატომ მოხდა.


ერთი საშუალება იმის დასადგენად, თუ რატომ მოხდა უბედური შემთხვევა არის ე.წ. 'ბრალეულობის ხის' ანალიზის ჩატარება. ეს ტექნიკა, რომელიც ქვემოთაა მოყვანილი დიაგრამაში, ახდენს მოვლენათა და პირობების რეკონსტრუირებას, რომლებმაც მიგვიყვანა კონკრეტულ ინციდენტამდე მუდმივად კითხვა 'რატომ' დასმით და საწყისი პირობისაკენ უკუსვლით, ინციდენტის მომენტამდე. ამ შემთხვევაში ეს იწყება კოჯის მიერ ხელის მოჭრის მომენტიდან. მეორე ხაზზე უკვე დაზარალებულის იდენტიფიცირება, საფრთხის წყარო და ის პირობები, რომელმაც ერთად მოიყვანა ხერხი და კოჯი.

გამომძიებელი მანამ სვამს კითხვა 'რატომ', სანამ მასზე გაცემული პასუხი მნიშვნელობას არ კარგავს. ქვემოთ მოყვანილ მაგალითში 'რატომ' კითხვის დასმას შეიძლება თავი დავანებოთ მაშინ, როცა მასზე პასუხი იქნება 'ხის მოსაჭრელად', მაგრამ სხვა ხაზებზე შეიძლება დაისვას კითხვა: 'რატომ მოხსნა ფრედმა დამცავი?', რატომ ჩქარობდა კოჯი საშუაოს დასრულებას და ა.შ. ამ შეკითხვების დასმისას გამომძიებელმა შეიძლება დაინახოს დამატებითი ინფორმაციის საჭიროება, ან ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა შეიძლება უკვე არსებული ინფორმაციის დახმარებით.

როდესაც არ არსებობს პასუხი კითხვაზე 'რატომ', გამომძიებელს შეიძლება დასჭირდეს დამატებითი ინფორმაციის მოძიება. ეს უნდა იყოს ფაქტობრივი ინფორმაცია, არ შეიძლება, რომ ეს იყოს ვარაუდი და უნდა მოხდეს კონკრეტული ინფორმაციის მოძიება.

მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი საშალებას უნდა აძლევდეს ინსპექტორს, რომ პირველ რიგში დაადგინოს უბედური შემთხვევის უშუალო მიზეზი/ები, შემდეგ კონტროლის მექანიზმები - ზემოთმოყვანილ მაგალითში, ხერხის დაცვა იქნებოდა უბედური შემთხვევის უშალო მიზეზის პრევენცია. თუმცა ზემოთმოყვანილ მაგალითში უნდა იქნას გამოძიებული ძირითადი მიზეზი, რის გამოც მოხდა უბედური შემთხვევა - რატომ არ იყო დაცული ხერხი უბედური შემთხვევის დროს - რათა აღარ მოხდეს უბედური შემთხვევის განმეორება.

ყველა უშალო მიზეზისათვის ინსპექტორებმა უნდა დაადგინონ ძირითადი მიზეზები, რომლებმაც დაუშვეს უშალო მიზეზის არსებობა. არსებითი მიზეზების განმეორების პრევენციის მიზნით, საჭიროა მაკორექტირებელი ქმედების იდენტიფიცირება და განხორციელება, რაც თავის მხრივ, შეამცირებს უბედური შემთხვევის განმეორების ალბათობას.



შეკითხვების დამატებითი ხაზები გაჩნდება, რომლებსაც ასევე დასჭირდება პასუხის გაცემა, მაგალითად, 'რატომ არ უზრუნველყო მედამხედველმა ხერხის უსაფრთხოება? რატომ მოხსნა დამცავი ფრუდმა?' და ა.შ.

ინსპექტორებმა შეიძლება დაადგინონ, რომ ადამიანური შეცდომების გამო მოხდა უბედური შემთხვევა, მაგრამ ამ შემთხვევაში გასარკვევია, რამ გამოიწვია ამ შეცდომების დაშვება. მათ ასევე ისიც უნდა გაიაზრონ, რომ ასეთი შეცდომები იზოლირებული ფაქტები არ არის ხოლმე. თანამშრომლის მიერ დაშვებული შეცდომა, როგორც წესი, არ არის ერთადერთი მიზეზი და ამიტომ ყველა მიზეზი უნდა იქნას იდენტიფიცირებული.

ადამიანური შეცდომების სამი ფართე კატეგორია:

- უნერჩევებით გამოწვეული შეცდომები ხდება მაშინ, როცა ა) აკეთებ ნაცნობ საქმეს არასწორად, მაგ: რთავ არასწორ ჩამრთველს, ან ბ) კარგად ნაცნობი საქმე, მაგ: დამცავი საფარის გამოყენება მუშაობის დაწყებამდე, არ სრულდება. ასეთი შეცდომების დაშვების თავიდან აცილება შეიძლება, მაგალითად დანადგარის დამონტაჟებით, რომელიც არ ჩაირთვება მანამ, სანამ არ იქნება გამოყენებული დამცავი საფარი.
- შეცდომები, რომლებიც გამოწვეულია ა) წესების უგულებელყოფით, მაგ: არსებობს წესი, მაგრამ თანამშრომელი არ იცავს მას, ან არასწორად ასრულებს წესების მოთხოვნებს, ან ბ) არასათანადო ცოდნით გამოწვეული, მაგ: კონკრეტულ სიტუაციას არ არეგულირებს არსებული წესები, რის გამოც თანამშრომელი იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი ცოდნის მიხედვით. ასეთი შეცდომების თავიდან აცილება შესაძლებელია სამუშაო ადგილზე უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნით, ტრენინგებითა და მანქანა-დანადგარების სწორი დიზაინის გამოყენებით.
- დარღვევები, რომლებიც განზრახ ხდება, სამუშაო ადგილზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს დარღვევის მიზნით. შესაფერისი ტრენინგი და ადექვატური მედამხედველობა ასეთი შეცდომების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

თუკი ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომები აღმოჩნდება უბედური შემთხვევის მიზეზი, მაშინ გამომძიებელმა რეკომენდაცია უნდა გაუწიოს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც სანარმოს საშუალებას მისცემს თვითონ აიცილოს მათი განმეორება. ასეთი რეკომენდაციების შეთავაზებისას, მათ უნდა გაითვალისწინონ მრავალი ფაქტორი, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინონ ადამიანის ქცევაზე:

ადამიანური ფაქტორები:

- ფიზიკური შესაძლებლობები (ზომა და სიძლიერე)
- კომპეტენცია (ცოდნა, უნარები და გამოცდილება)
- დადლილობა, სტრესი, განწყობა, ალკოჰოლი და ნარკოტიკები.

პროფესიული ფაქტორები:

- დავალების შესასრულებლად რამდენი ყურადღებაა საჭირო? (როგორც მცირე, ასევე ზედმეტ ყურადღებას შეუძლია ბევრი შეცდომის გამოწვევა)
- გაფანტული ყურადღება ან ყურადღების სხვა საქმეზე გადატანა
- არაადექვატური პროცედურები
- დავალების შესრულებისთვის გამოყოფილი დრო

ორანიზაციული ფაქტორები

- ხანგრძლივი სამუშაო საათები
- საკმარისი რესურსების ხელმისაწვდომობა
- ზედამხედველობის ხარისხი
- მმართველობის რგოლის ვალდებულება სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად ('უსაფრთხოების კულტურა')

საწარმოში და მანქანა-დანადგარების გაუმართაობით გამოწვეული ფაქტორები

- რამდენად ადვილი გასაგები და წასაკითხია კონტროლის შესახებ ინფორმაცია?
- არის თუ - არა მანქანა-დანადგარები ისე მოწყობილი, რომ თვიდან აიცილონ შეცდომები?.
- არის თუ - არა სამუშაო ადგილი ისე მოწყობილი, რომ ხელსაყრელი იყოს იქ დასაქმებული ადამიანებისთვის?

მას შემდეგ, რაც ინსპექტორები მოახდენენ ყველა გამომწვევში მიზეზის იდენტიფიცირებას, მათ უნდა გასცნონ რისკის კონტროლის მექანიზმების შესახებ ინფორმაცია.

3.4 პრევენციული/რისკის კონტროლის ზომების იდენტიფიცირება

ამ მომენტისთვის გამოძიებულს უკვე დადგენილი ექნება მოვლენათა განვითარების თანმიმდევრობა (რა და როგორ მოხდა). ამავე დროს, უკვე ინფორმირებულნი არიან რისკების შემცირების ყველა არსებული მეთოდის შესახებ, რომლებიც არსებობის შემთხვევაში შესაძლებელს გახდიდა უბედური შემთხვევის თავიდან აცილებას მოვლენათა ჯაჭვის განწყვეთით.

მიუხედავად იმისა, რომ რისკების კონტროლის მექანიზმები ამ დროს უკვე უნდა იყოს იდენტიფიცირებული, ინსპექტორებს არ სჭირდებათ საწარმოს დახმარება ყოველი მათგანის განსახორციელებლად. ზოგიერთი მათგანის დანერგვის შემთხვევაში დამატებითი ძალისხმევის გარეშე შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ უკვე მომხდარი უბედური შემთხვევის განმეორების თავიდან აცილება, არამედ ასევე სხვა შემთხვევების თავიდან აცილებაც.

როდესაც კონტროლის ყველა მექანიზმი არის გარკვეული, შემდეგი ნაბიჯია იმის გადაწყვეტა, თუ რომლის შეთავაზება უნდა მოხდეს და რომელი მათგანია პრიორიტეტული:

რისკების კონტროლის შემდეგი იერარქია უნდა იქნას გამოყენებული:

1. ელიმინაცია: რისკის ელიმინაციისთვის განკუთვნილი ზომები, მაგ: უფრო უსაფრთხო პროდუქტების გამოყენება (წყალზე დამზადებული საღებავები, გამსხნელზე დაფუძნებული საღებავების ნაცვლად);
2. ჩანაცვლება: არსებული მანქანა-დანადგარების უფრო თანამედროვე მოდელებით ჩანაცვლება, რომლებსაც უსაფრთხოების უფრო მაღლი სტანდარტები აქვთ;
3. ტექნიკური კონტროლი: ისეთი ზომების გატარება, რომლებიც შეამცირებენ საფრთხეს, მაგ: დამცავი ან გამწოვი სისტემების დამონტაჟება;
4. ადმინისტრაციული კონტროლი: ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც საშუალო ადგილზე ამცირებენ რისკს, მაგ: თანამშრომლების როტაცია, რათა უზრუნველყოფილ იქნას უსაფრთხოება;
5. პირადი უსაფრთხოების საშუალებები: მათი იმ დროს გამოყენება, როდესაც სხვა კოლექტიური დამცავი საშუალებები არ არსებობს.

ასეთი იერარქიის არსებობის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ თუკი აღარ იარსებებს საფრთხე, მსგავსი უბედური შემთხვევაც აღარ განმეორდება; უფრო მეტიც, ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ემყარება ელიმინაციას, ჩანაცვლებას და ტექნიკურ კონტროლს უფრო სანდოა, ვიდრე ისინი, რომლებიც ემყარება ადამიანის ქმედებას.

ამავე დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კონტროლის რა მექანიზმიც არ უნდა ავირჩიოთ, უცილებლად იქნება საჭირო თანამშრომლებისთვის ინფორმაციისა და ტრენინგის მიწოდება, შესაფერისი ინფრასტრუქტურის მოწყობა; ინსპექტორებმა შეიძლება ასევე ჩათვალონ, რომ ტრენინგის ჩატარება აუცილებელი პირობაა რისკის შესამცირებლად.

ინსპექტორების ერთ-ერთი მოვალეობა იმაშიც მდგომარეობს, რომ უზრუნველყონ სამუშაო ადგილების უსაფრთხოება და ეროვნული კანონმდებლობის დაცვა როგორც დამსაქმებლების, ასევე დასაქმებულების მიერ. პირადი უსაფრთხოების საშუალებების დარიგება მოკლევადიან პერსპექტივაში რისკს შეამცირებს, მაგრამ საჭიროა გრძელვადიანი ქმედება, ანუ ისეთი ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც ყოველდღიურად შეამცირებენ სამუშაო ადგილზე რისკს ყველა დასაქმებულისათვის. კონტროლის ყველა შესაძლო ზომის იდენტიფიცირება ინსპექტორებს საშუალებას მისცემს უფრო კომპეტენტური რჩევა გაუწიოს საწარმოებს სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და შესაბამისად გრძელვადიან პერსპექტივაში ეროვნული კანონმდებლობის შესრულების უზრუნველსაყოფად.

3.5 სამოქმედო გეგმის განხორციელება

გამოძიების ამ ეტაპზე უკვე დადგენილი იქნება რისკის მართვის მექანიზმები, რომელთა განხორციელებაც იქნება საჭირო. ზოგიერთი შეიძლება გადაუდებელ განხორციელებას საჭიროებდეს, მაგალითად, მანქანა-დანადგარებზე დამცავი საფარის დამაგრება; დანარჩენი შეიძლება უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განხორციელდეს, მაგ. ვენტილაციის სისტემის შეცვლა ან რისკების შეფასების სიღრმისეული კვლევა.

ინსპექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ საწარმოს წარმომადგენლები გადადგავენ საჭირო ნაბიჯებს მსგავსი უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად. ამიტომ მათ შეიძლება მოუწიოთ გადაწყვეტი ნაბიჯების გადამგმა, მაგ: გამოსცენ აღსრულების ბრძანება, რომ მოხდეს დამცავი საფარის გაკეთება, წერილით მიმართონ საწარმოს, რომელშიც განხორციელდება იმ ნაბიჯების ნუსხა, რომლებიც უნდა გადადგას საწარმოს დროის შესაბამისი ინტერვალის მითითებით.

ინსპექტორების სამოქმედო გეგმა კი შეიძლება გულისხმობდეს დამატებით ვიზიტებს, იმის დასადგენად გაუმჯობესდა თუ - არა სამუშაო პირობები საწარმოში და ხორციელდება თუ - არა მეთანხმებული ღონისძიებები.

3.6 ანგარიშის მომზადება/ინფორმაციის დოკუმენტირება

არც ერთი გამოძიება არ ითვლება დასრულებულად საბოლოო ანგარიშის მომზადების გარეშე. ყოველ ანგარიშში დეტალების რაოდენობა დამოკიდებულია ინციდენტის სირთულეზე, რომელმაც გამოიწვია გამოძიების ჩატარება.

ანგარიში წარმოადგენს გამოძიების მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა ჩანაწერს. ის აღწერს თუ რა და რატომ მოხდა და რა ნაბიჯები გადაიდგა მისი განმეორების თავიდან ასაცილებლად. მოსალოდნელია, რომ გამოძიების შედეგებს გაეცნობიან სხვადასხვა პირები და ორგანიზაციები, მაგალითად, ორგანიზაციის/საწარმოს შიდა მმართველი ჯგუფი, დაზარალებული და მისი ოჯახი, დამსაქმებელი და ის თანამშრომლები, რომლებიც შეესწრნენ ინციდენტს, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციები, გამოძიებაში ჩართული სხვა მხარეები, იურისტები და მედია. ანგარიშში მოხვედრილი ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც მაგალითი სხვა შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

ეროვნული კანონმდებლობა ანდა ინსპექტორატი შეიძლება ითხოვდეს ანგარიშის მოსამზადებლად სპეციალური ფორმის გამოყენებას. ეს უზრუნველყოფს, რომ ყველა გამოძიება ერთი და იმავე პროცედურებით წარიმართოს და ხელს შეუწყობს თანმიმდევრულობის შენარჩუნებას.

თუკი გამოიყენება სტანდარტიზებული ფორმები, ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ამით არ შეიზღუდოს ინფორმაციის რაოდენობა ანგარიშში. არ უნდა იქნას შემლუღელი ანგარიშის ზომა, რადგან ამას ყოველთვის მიყვავართ მოწოდებული ინფორმაციის რაოდენობის შემცირებასთან.

ანგარიშის მომზადებისას ასევე იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ინსპექტორებისაგან განსხვავებით მკითხველს შეიძლება არ გააჩნდეს შესაბამისი ექსპერტიზა და ინფორმაცია, ამიტომ ყველაფერი უნდა იყოს ანგარიშში განმარტებული სათანადოდ დასათაურებული ფოტოები და სკეჩები მკითხველს დაეხმარება ასევე მომხდარის გაგებაში.

ანგარიშში ასევე უნდა იყოს ინფორმაცია იმ მოწმეების შესახებ, რომლებმაც მიაწოდეს გამოძიებას ინფორმაცია და ასევე ინფორმაცია მოპოვებული ნივთ-მტკიცებების შესახებ (იხ. ნაწილი 3.2).

4. უბედური შემთხვევის გამოძიების საკონტროლო სია

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ საკონტროლო სია არ არის ამომწურავი და ის მხოლოდ ხელს უწყობს იმ ძირითადი საკითხების შესენებას, რომელიც დაეხმარება ინსპექტორებს გამოძიების წარმოებაში. ზოგიერთი მათგანი შეიძლება საერთოდაც არ იქნას გამოკვლეული, მაგრამ რიც შემთხვევებში შეიძლება თემების დამატებაც კი გახდეს საჭირო ამ სიაში.

მიზანი არის შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა:

ვინ? სად? როდის? რა? როგორ? და რატომ?

1. ქმედებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღებისას

- ეცნობოს საწარმოს ინსპექტორების ვიზიტის შესახებ და ეთხოვოთ, რომ არ შეცვალონ რაიმე უბედური შემთხვევის ადგილას;
- მოიძებნოს შესაფერისი კადრები;
- შემოწმდეს, რომ ყველა გამომძიებელი ატარებს ოფიციალურ საიდენტიფიკაციო დოკუმენტს
- მოიძებნოს წინა ინსპექტირების ანგარიშები;
- უზრუნველყოფილ იქნას პირადი უსაფრთხოების საშუალებები;
- უზრუნველყოფილ იქნას ინფორმაციის ჩანერის საშუალებების ხელმისაწვდომობა, მათ შორის ფოტო აპარატები, ვიდეო კამერები, დამატებითი მეხსიერების ბარათებითა და ბატარეებით, მანძილმზომი, რვეულები, საწერი საშუალებები, ფანარი, მობილური ტელეფონი;
- უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების არსებობა;
- იდენტიფიცირებულ იქნას სათანადო დამხმარე მასალები;
- მოძიებულ იქნას უბედური შემთხვევის ადგილზე მისასვლელად სათანადო სატრანსპორტო საშუალება.

2. ინფორმაციის შეგროვება

ა. ადგილზე მისვლისას უნდა გაირკვეს ვინ არიან დამსაქმებლები და ვინ - თანამშრომლები, ინსპექტორი უნდა გაეცნოს მათ და აუხსნას თავისი მისვლის მიზანი.

ბ. ყოველი დამარალეულისათვის ცალ-ცალკე უნდა შეგროვდეს შემდეგი ინფორმაცია (ეს არ არის ამომწურავი სია):

- დაზიანებების შესახებ დეტალები, მათი სიმძიმის შესახებ, როგორ მიიღეს ეს დაზიანებები, რა თანამდებობა უკავია დამარალეულს, მოცემულ საწარმოში მუშაობის გამოცდილება, დაბადების თარიღი და საკონტაქტო ინფორმაცია;
- როდის და სად მოხდა უბედური შემთხვევა;
- რა ტიპის სამუშაოს ასრულებდა დამარალეული ინცინდენტის დროს და იმ მომენტისთვის არსებული სამუშაო სისტემა;
- გამოყენებული მანქანა-დანადგარების შესახებ ინფორმაცია, მოდელი, მარკა, სერიული ნომერი; ასევე ინფორმაცია სხვა საშუალებების შესახებ, მაგ: კიბე, ხარაჩოები, ელექტრო კაბელები და პირადი უსაფრთხოების საშუალებები;
- გამოყენებული ხელსაწყოების მდგომარეობის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია: მდებარეობა, ზედახედველობის მექანიზმი, საკონტროლო ჩამრთველების მდგომარეობა, როგორც ინცინდენტამდე, ასევე მის შემდეგ;
- იმ ადამიანების სახელები, საკონტაქტო ინფორმაცია და თანამდებობები, რომლებიც შეესწრნენ ინცინდენტს, რა ტიპის საქმიანობით იყვნენ იმ მომენტისთვის დაკავებული;
- სამუშაოს რა სისტემას იყენებდა დამარალეული უბედური შემთხვევისას და როგორ განსხვავდებოდა იგი ჩვეულებრივ გამოყენებული სამუშაო სისტემისაგან, თუკი ასეთი განსხვავება არსებობდა;
- გარემო პირობები ინცინდენტის დროს, მაგ: ინცინდენტი მოხდა დღისით თუ ღამით, ამინდი;
- სამუშაო ადგილზე ზოგადი პირობები, მათ შორის შიდამეურნეობა, განათება და ხმაურის დონე, ტრანსპორტის მოძრაობა, ვენტილაცია, მოსასვენებელი პირობები.

გ. მოიპოვეთ შემდეგი დოკუმენტები (ეს სია არ არის ამომწურავი):

- დამარალეულის დასაქმების კონტრაქტი, ასევე ინფორმაცია კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შესახებ;

- გამოყენებული ხელსაწყოების/მანქანა-დანადგარების ექსპლოატაციის შესახებ ინფორმაცია;

გამოყენებული ხელსაწყოების/მანქანა-დანადგარების მწარმოებლის მიერ მომზადებული გამოყენების ინსტრუქცია;

- იმ ნივთიერების გამოყენების უსაფრთხოების წესების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც ფიგურირებდნენ უბედური შემთხვევის დროს;
- საწარმოს შემონმების ანგარიშები;
- სამუშაო ადგილზე და გამოყენებული ხელსაწყოების/მანქანა-დანადგარების რისკის შეფასება;
- სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის საკითხებზე მომუშავე კომიტეტის სხდომის ოქმები;
- წინა უბედური შემთხვევების შესახებ ანგარიშები;
- თანამშრომლების მიერ გადაღებული ფოტოები, ვიდეო კადრები, უსაფრთხოების სამსახურის მიერ გადაღებული ვიდეო.

გახსოვდეთ: ინფორმაციის შეგროვებისას უნდა სათანადოდ დაასაბუთოთ ისინი, ვისგან და როდის მიიღეთ. როდესაც იღებთ ფოტოებს, აღნიშნეთ რას აღწერენ ისინი (გამოიყენეთ 3.2 ნაწილში მითითებული ფორმა).

ინციდენტის ადგილის დატოვებამდე დარწმუნდით, რომ ის ან მსგავსი პირობები, რომლებმაც გამოიწვია უბედური შემთხვევა აღარ არსებობს საწარმოში, ან მის რომელიმე ნაწილში.

დ. მოწმესთან გასაუბრება

- მოახდინეთ ყველა მოწმის იდენტიფიცირება, მას შემდეგ რაც დაასრულებთ დაგეგმვის ფაზას, დაიწყეთ მათთან გასაუბრება;
- გამოიყენეთ **PEACE** მოდელი (დაგეგმვა, ჩართულობა, აღრიცხვა და შეკითხვა, დახურვა, შეფასება)
- გამოიყენეთ ღია შეკითხვები ინფორმაციის მისაღებად;
- გამოიყენეთ დახურული შეკითხვები ფაქტების გასარკვევად ან კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად;

3. გააანალიზეთ მიღებული ინფორმაცია

შეავსეთ მოვლენების განვითარების დროის ფორმა, რათა დაადგინოთ რა მოხდა და დაადგინოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. მრავალჯერ დასვით კითხვა 'რატომ', მანამ, სანამ ამ შეკითხვის დასმით ვეღარ მიიღებთ ფასეულ ინფორმაციას.

4. მოახდინეთ რისკების კონტროლის საშუალებების იდენტიფიცირება

განსაზღვრეთ პრევენციული კონტროლის მექანიზმები, რომლებიც განყვეტდნენ ინცინდენტის გამომწვევ მოვლენათა ჯაჭვს და ასევე განსაზღვრეთ, რომელი მათგანის განხორციელებაა მნიშვნელოვანი მომავალში მსგავსი ინცინდენტის განმეორების თავიდან ასაცილებლად, თუკი შესაძლებელია შემდეგი იერარქიის გამოყენებით: ელიმინაცია, ჩანაცვლება, ტექნიკური კონტროლი, ადმინისტრაციული კონტროლი, პირადი უსაფრთხოების საშუალებები.

5. მონიტორინგი გაუწიეთ სამოქმედო გეგმის შესარულებას

დარწმუნდით, რომ შეთანხმებული ქმედებები სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად შესრულდა, მათ შორის დამატებითი ვიზიტების განხორციელების გზითაც.

6. მოამზადეთ ანგარიში/მოახდინეთ ინფორმაციის დოკუმენტირება.

5. ანგარიში გამოძიების შესახებ

ნაწილი A - გამოძიების დეტალები

(კარგი იქნება თუ მოამზადებთ სტანდარტულ ფორმას, რომელშიც ველები იქნება შესავსები)

- A1** საწარმოს/ების სახელი/ები (მიუთითეთ იურიდიული პირის სრული დასახელება);
- A2** საწარმოს მისამართი/ები (კომპანიების შემთხვევაში მიუთითეთ რეგისტრაციის მისამართი; კერძო პირების შემთხვევაში მიუთითეთ ნებისმიერი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია);
- A3** პასუხისმგებელი პირის მოვალეობა/თანამდებობა (დამსაქმებელი, თვით დასაქმებული, კონტრაქტორი და ა.შ.);
- A4** ინცინდენტის მდებარეობა/მისამართი (მისამართი იმ ადგილისა, სადაც გამოძიების ქვეშ მყოფი ინცინდენტი მოხდა);
- A5** გამოძიების დაწყების თარიღი;
- A6** გამოძიების ნომერი;
- A7** გამოძიების ობიექტის აღწერა (მოკლე შინაარსი ანგარიშის ძირითადი საკითხის შესახებ);
- A8** ინცინდენტის თარიღი;
- A9** ინცინდენტის შედეგად დაზარალებული ან გარდაცვლილი პირების სახელები და მისამართები;
- A10** მთავარი გამოძიებლის სახელი, მისი დამსაქმებლის სრული მისამართი;
- A11** მთავარ გამოძიებელთან ერთად იმავე დეპარტამენტში მომუშავე სხვა გამოძიებლების სახელები და საკონტაქტო ინფორმაცია;
- A12** სხვა გამოძიებლების სახელები და საკონტაქტო ინფორმაცია;
- A13** გამოძიების სხვა თარიღები.

ნაწილი B - ფაქტობრივი ინფორმაცია

B1 ინცინდენტის გამოძიების ფაქტებისა და გარემოებების აღწერა. ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს ფაქტობრივ ინფორმაციას, რომელიც გადამოწმებული უნდა იყოს მოპოვებული ჩვენებებით, დოკუმენტებით, სკენებითა და ფოტოებით. უნდა მოიცავდეს ფაქტების ამომწურავ ჩამონათვალს. თუკი არსებობს ერთმანეთთან შეუსაბამობაში მყოფი ფაქტები, არ არის საჭირო რომელიმე მათგანის სანდოობის შესახებ კომენტარის გაკეთება.

თუკი შესაძლებელია, ეს ნაწილი სტრუქტურირებული უნდა იყოს ქვე-თავებად, მაგალითად:

- საწარმო, მანქანა-დანადგარები და სხვადასხვა ნივთიერებები
- სამუშაო სისტემა
- ტრენინგები, ინსტრუქტაჟი და ზედამხედველობა
- რისკების შეფასება
- შედეგები, მაგ: დამიანების ხარისხი/მასშტაბი

B2 პასუხისმგებელი პირების მიერ ინცინდენტამდე გატარებული პრევენციული ზომები (აღწერეთ ინცინდენტამდე არსებული უსაფრთხოების და რისკების მართვის მექანიზმები).

B3 ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვა (თუკი ამ ეტაპამდე არ მომხრადა ამ საკითხის აღწერა, შეძლებისდაგვარად, აქ უნდა განიმარტოს ინცინდენტამდე არსებული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვის სისტემა, მათ შორის პასუხისმგებელი პირებს შორის არსებული ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც გამოძიებისთვის იქნება სასარგებლო).

B4 ინცინდენტის შემდეგ პასუხისმგებელი პირების მიერ გატარებული პრევენციული ზომები (აღწერეთ ინცინდენტის შემდეგ გატარებული ზომები, რათა უზრუნველყოფილიყო არსებული რეგულაციების დაცვა. დაასახელეთ რა ზომების გატარება იქნა გამოწვეული გამოძიებლების ჩარევის შედეგად, მათ შორის აღსრულების ზომები).

B5 ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვის სისტემაში ინცინდენტის შემდეგ გატარებული ცვლილებები (აღწერეთ ნებისმიერი ცვლილება, რომელთა შესახებაც ამ დრომდე არ ყოფილა საუბარი. ახსენეთ თუკი ისინი გამოწვეული იქნა გამოძიებლების ჩარევის შედეგად, მათ შორის აღსრულების ზომები).

ნაწილი C - ინცინდენტის ანალიზი და კონონმდებლობასთან შესაბამისობა

C1 გამოძიებლების დასკვნები ინცინდენტის გამომწვევი მიზეზების შესახებ (აღწერეთ უშუალო და ძირითადი მიზეზები. ამ ეტაპზე გამოძიებლებს უკვე უნდა შეეძლოთ, ყველა ფაქტის ანალიზის შემდეგ, საკუთარი აზრი გამოთქვან მომხდარის მიზეზების შესახებ).

C2 საკანონმდებლო მოთხოვნები (ჩამოთვალეთ შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნები).

C3 კანონის გამოყენება (ჩამოთვალეთ C2 ნაწილში ხსენებული რომელი კანონი იქნა დარღვეული). სასარგებლო იქნება ასევე შემდეგ საკითხებზეც კომენტარების გაკეთება:

- რამდენად იყო შესაძლებელი რისკის თავიდან აცილება და რამდენად იყო პრაქტიკულად განხორციელებადი ეფექტური პრევენციული ზომები;

- სათანადო სტანდარტები და მათი წყაროები (ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები).
- ინცინდენტამდე არსებული კონტროლი მექანიზმების და მართვის სისტემების ეფექტურობა.
- დარღვევების ხასიათი და მასშტაბი, მაგ: რამდენად დაბალი იყო პასუხისმგებელი პირის ქმედება მოთხოვნილ სტანდარტთან მიმართებით და ეს დარღვევა წარმოადგენდა თუ - არა ერთეულ შემთხვევას.

ნაწილი D - გატარებული ან შეთავაზებული ქმედებები

D1 გამომძიებლებმა უნდა აღნუსხონ ნებისმიერი ღონისძიება, რომლებიც გატარდა ან იგეგმებ, რათა უზრუნველყოფილი იქნას კანონმდებლობასთან შესაბამისობა და თავიდან იქნას აცილებული მსგავსი ინცინდენტის განმეორება. ეს შეიძლება მოიცავდეს ზეპირ რჩევას, წერილობით რჩევას, სიტუაციის გასაუმჯობესებლად გაცემულ შეტყობინებებს, აკრძალვის შესახებ გაცემულ შეტყობინებებს ან სასჯელს.

დანართი 1

მოწმეების შესახებ ინფორმაცია

დანართი 2

სამხილების შესახებ ინფორმაცია

დანართი 3

სავალდებულო სარეგისტრაციო ჟურნალები, გადაწყვეტილების რეგისტრაციის ფორმები და ა.შ.

პრაქტიკული მაგალითი: თანამშრომელი დაშავდა ცირკულარულ ხერხთან მუშაობისას

ეროვნულ კანონმდებლობაში განსხვავებების გამო ეს პრაქტიკული მაგალითი არ განიხილავს იურიდიულ საკითხებს, მათ შორის არც სამუშაო ადგილზე ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვის სისტემის კანონმდებლობასთან შესაბამისობას, არც მოწმეების დაკითხვას და არც სამხილების შეგროვებას. თუმცა მკითხველს გააცნობს საგამოძიებო პროცესის მიმდინარეობას.

სცენარი. ინსპექტორატმა მიიღო ინფორმაცია, რომ ცირკულარული ხერხის გამოყენებისას ახალგაზრდა თანამშრომელმა, რომელიც მუშაობდა XYZ საწარმოში მიიღო ხელის სერიოზული დაზიანება, რაც დასრულდა მის მარცხენა ხელზე 4 თითის ნაწილობრივი ამპუტაციით.

თქვენ უნდა გამოიძიოთ ეს შემთხვევა.

ნაბიჯი 1: რა ქმედებები უნდა განვახორციელოთ უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღებისას

ინცინდენტის ადგილზე მისვლამდე:

- XYZ კომპანიის მფლობელს შეატყობინეთ, რომ აპირებთ ინცინდენტის ადგილზე მისვლას ერთი საათის განმავლობაში გამოძიების დაწყებას და რომ ინცინდენტის ადგილი ხელუხლებელი უნდა იყოს. თხოვეთ ინცინდენტის ადგილის ზუსტი მისამართი.
- მოაგროვეთ ნებისმიერი ინფორმაცია, რაც ინსპექტორატს ამ კომპანიის შესახებ გააჩნია (საწარმოო პროცესი, თანამშრომელთა რაოდენობა, უკანასკნელი ინსპექტირების შედეგები, უბედური შემთხვევის ისტორია, მმართველი რგოლის დამოკიდებულება უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მართვის სისტემებზე).
- დარწმუნდით ამ გამოძიებას მხოლოდ ერთი გამომძიებელი თუ ერთზე მეტი ჩაატარებს. ამის შემდეგ გაარკვეით რა რესურსები არის გამოძიების ჩასატარებლად ხელმისაწვდომი და განსაზღვრეთ გამომძიებლების როლი.
- დარწმუნდით, რომ გაქვთ პირადი უსაფრთხოების ყველა საჭირო საშუალება, ასევე ინფორმაციის ჩანერის საშუალებები, მათ შორის ფოტოაპარატი, ბატარეები, მესსიერების ბარათები, რვეულები, მანძილმზომი და სანერი საშუალებები.
- ასევე დარწმუნდით, რომ ფლობთ ყველა საჭირო იურიდიულ დოკუმენტს, (მაგ: მოწმის ჩვენებისა და შემაკავებელი ორდერის ფორმებს).
- მოიძიეთ ცირკულარული ხერხის უსაფრთხო მუშაობის შესახებ ინსტრუქცია, თუკი ასეთი არსებობს.


- დარწმუნდით, რომ თქვენ და თქვენს კოლეგებს გაქვთ ოფიციალური საინდენტიფიკაციო დოკუმენტები, მათ შორის სავიზიტო ბარათები და უბედური შემთხვევის გამოძიების საკონტროლო კითხვების სია.
- მოავარეთ ინცინდენტის ადგილამდე ტრანსპორტირების საკითხი.

ნაბიჯი 2: ინფორმაციის შეგროვება

იმისთვის, რათა უპასუხოთ შეკითხვებს: ვინ? სად? როდის? რა? როგორ? და რატომ?

XYZ საწარმოში მისვლისას:

- გააცანით თქვენი თავი დამსაქმებლისა და დასაქმებულების წარმომადგენლებს და გააცანით მისვლის მიზანი.
- განსაზღვრეთ ინცინდენტის ზუსტი დრო.
- გაარკვიეთ ვინ არის დაზარალებული: სრული სახელი, დაბადების თარიღი, სქესი, თანამდებობა, მუშაობის სტაჟი ამ საწარმოში და თუკი ცნობილია დაზიანებების მასშტაბი და სიმძიმე.
- ნახეთ ინცინდენტის ადგილი და შეეცადეთ გაარკვიოთ: ცირკულარული ხერხის დაზგის მოდელი, მწარმოებელი, სერიული ნომერი და მისი მდებარეობა. გადაუღეთ ფოტო (ასევე დარწმუნდით, რომ გარკვეული გაქვთ სად არის დამცავი საფარი), სამუშაო ადგილი და მიმდებარე ტერიტორია. გაარკვიეთ, შეცვლილია თუ - არა ინცინდენტის ადგილი. ხომ არ გეჩვენებათ, რომ დამცავი საფარი ინცინდენტის შემდეგ დაამაგრეს დაზგაზე?



- ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრება სამუშაო პირობების შესახებ. მოწესრიგებულია სამუშაოს მიმდებარე ტერიტორია? ხომ არ არის ირგვლივ ხის ნაჭრები ან სხვა ნივთები, რომლებზეც შეიძლება ვინმეს ფეხი წამოედო? როგორია განათების დონე? არის საკმარისი სივრცე ხერხის სათანადოდ გამოსაყენებლად? არის ადგილზე მტვერის შემკრები მოწყობილობა (ადგილობრივი გამწოვი და სავენტილაციო დანადგარი)?
- დაადგინეთ ვინ იყენებს ხერხს კიდეც და მოიპოვებ მათი საკონტაქტო ინფორმაცია;
- გაარკვიეთ ვის შეიძლება დაენახა ინცინდენტი, მათ შორის სამუშაოთა მწარმოებელი და მოიპოვებ მათი საკონტაქტო ინფორმაცია;
- მოითხოვეთ ხერხის გამოყენების ინსტრუქციის ასლი და ჩაინიშნეთ, ვისგან მიიღეთ იგი;
- მოითხოვეთ დაზარალებულის პირადი საქმე, მათ შორის კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში მონაწილეობის ინფორმაცია.

თქვენ ამ ეტაპზე უკვე გაარკვიეთ, რომ საქმე გვაქვს ხერხთან, რომელიც არის PPPP, მოდელი 123, სერიული ნომერი 987456. მდებარეობს XYZ საწარმოს ცენტრში და აღნიშნეთ, რომ არ აქვს დამცავი საფარი, დენის კაბელი გდია იატაკზე, ხერხის ირგვლივ ყრია ხის ნაჭრები. ირგვლივ ბევრი მტვერია, რადგან არ არის გამწოვი.

თქვენ სურათი გადაუღეთ უყურადღებოდ დატოვებულ ხერხს და მის ირგვლივ ტერიტორიას.

XYZ საწარმოს წარმომადგენელმა ბ-ნ ქუერტიმ გაცნობათ, რომ დაზარალებულია ბ-ნი ქსავიერ ჯონსი, 17 წლის, დაბადებული 1992 წლის 15 აპრილს, რომელიც აღარ იმყოფება საწარმოში, რადგან წაყვანილ იქნა საავადმყოფოში.

თქვენ ამავე დროს დაადგინეთ, რომ ხერხთან ინცინდენტის დროს ასევე მუშაობდა ბ-ნი ტარო იამადა, 24 წლის, დაბადებული 1985 წლის 19 სექტემბერს.

2009 წლის 25 სექტემბერს თქვენ გადმოგეცათ ხერხის გამოყენების 15 გვერდიანი ინსტრუქცია, ბ-ნი ქერიმ ჰადადის მიერ, რომელიც არის სამუშაოთა მწარმოებელი და იგი დაასათაურეთ Kh1.

იმ ინფორმაციის გათვალისწინებით, რაც ამ დროისთვის გაქვთ მოპოვებული, თქვენ გადაწყვიტეთ გაესაუბროთ ბ-ნ იამადას. თუმცა გასაუბრებამდე გეგმავთ თუ რა საკითხები გსურთ მასთან განიხილოთ, კერძოდ:

- ინცინდენტის დეტალები, 'TED' შეკითხვების გამოყენებით, მაგ: გთხოვთ აღწეროთ რა დაინახეთ, როცა ქსავიერს უბედური შემთხვევა მოუვიდა. თუ შეიძლება ამისხენით, რას აკეთებდით ორივე ამ დროს.
- სამუშაოს შესახებ ინფორმაცია: რაში მდგომარეობს მისი მოვალეობები, ვისგან იღებს დავალებებს და მანამდე უმუშავია თუ - არა ქსავიერთან ერთად.
- ხერხის მუშაობის ჩვეულებრივი სისტემა;
- მოიპოვეთ პირადი ინფორმაცია, მათ შორის თანამდებობა, საწარმოში მუშაობის ხანგრძლივობა;
- მოითხოვეთ კონკრეტული ინფორმაცია, მათ შორის უსაფრთხოების სისტემის შესახებ, მის მიერ გავლილი ტრენინგების შესახებ, განსაკუთხრებით ხერხის გამოყენების შესახებ. გაარკვიეთ, იცნობს თუ - არა ხერხის გამოყენების ინსტრუქციას.

დაგვეგმის ეტაპზე, თქვენ უნდა შეისწავლოთ ხერხის გამოყენების ინსტრუქცია და დაადგინოთ, საუბრობს თუ - არა იგი ხერხის უსაფრთხოების საკითხებზე, ჩამკეტი სახელურების შესახებ და დაცვის სისტემის შესახებ. ამის შემდეგ კი იღებთ გადაწყვეტილებას, ეს საკითხები განიხილოთ ბ-ნ იამადასთან.

ინტერვიუ:

გახსოვდეთ, დაამყარეთ კონტაქტი ბ-ნ იამადასთან და აუხსენით მას თქვენი, როგორც გამომძიებლის როლი და გაესაუბრეთ მას.

გასაუბრების შედეგად გამოვლინდა ინფორმაცია, რომელიც დაფიქსირდა შემდეგნაირად ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად:

ჩვეულებრივად ტარომ და ქსავიერმა მიიღეს ინსტრუქტაჟი სამუშაოთა მწარმოებლისაგან - ქერიმისაგან, დაეჭრათ ხის 50 ნაჭერი ორად PPPP ხერხის 123 მოდელის გამოყენებით, რომელიც მდებარეობდა საწარმოს ცენტრში. ხის ნაჭრები თავდაპირველად იყო 1 მ. სიგრძის და 2 მ. სიგანის და სიგრძეზე უნდა გაეჭრათ, რომ მიეღოთ ნაჭრები 0.5 მ 2 მ-ზე.

ამ დავალების მიღების შემდეგ მათ დაიწყეს ხის დაჭრა. ტარო აწვდიდა ხის ნაჭრებს ხერხში და ქსავიერი კი იღებდა დაჭრილ ნაჭრებს. მათ დაახლოებით ხის 20 ნაჭერი დაამზადეს, როდესაც ქსავიერმა უკანა გზაზე ფეხი წამოდო დენის კაბელს და რომ არ დაგარდნილიყო დასაყრდნობად ხელი გასწია. ამ დროს ხელი მოუხვდა ჩართულ ხერხზე და მიიღო საშიში ჭრილობა.

ეს მოხდა 2009 წლის 25 სექტემბერს დაახლოებით 10:45. ტარო და ქსავიერი ხშირად მუშაობდნენ ერთად ამ საქმეზე და როგორც წესი, ტარო აწვდიდა ხეს და ხავიერი იღებდა მას ხერხიდან. ტარო საწარმოში უკვე 6 წელია მუშაობს ხის საჭრელი დანადგარის მექანიკოსად. სანამ ხავიერი დაიწყებდა მუშაობას საწარმოში, მანამდე მხოლოდ თვითონ მუშაობდა ამ საქმეზე, შემდეგ კი მოვალეობები გაინაწილეს ისე, როგორც ზემოთაა აღწერილი.

ხერხი ყოველთვის ისე იყო აწყობილი, როგორც ინცინდენტის დღეს, ხერხის პირი დაზგიდან არის ამოწეული. პირზე არ არის დამცავი და არასოდეს ყოფილა, იმ დღიდან, რაც ტარომ დაიწყო საწარმოში მუშაობა. როდესაც მან ნახა ხერხის გამოყენების ინსტრუქცია KH1, მათ თქვა, რომ ის მანამდე არასოდეს უნახავს და დაადასტურა, რომ ხერხი არასოდეს ყოფილა ისე აწყობილი, როგორც ეს დიაგრამა 6-ში არის ნაჩვენები, რომელიც აჩვენებს დამცავს ხერხზე. მან ასევე დაადასტურა, რომ არასოდეს უნახავს ჩამრთველი, როგორც ეს დიაგრამა 8-ზეა ნაჩვენები და არ იცის, რისთვის გამოიყენება ის.

მას შემდეგ, რაც საწარმოში დაიწყო მუშაობა, ხერხს სულ ერთნაირად იყენებს, ისევე როგორც მისი წინამორბედი, რომლის სახელიც მას არ ახსოვს. მას არ მიუღია კონკრეტული ინსტრუქცია, როგორ უნდა მიეწოდებინა ხე ხერხზე. როდესაც მისი კოლეგა ქსავიერი შვებულებაშია, მხოლოდ ის მუშაობს ხერხთან. როცა თვითონ არ არის, მაშინ ხერხს ამუშავებს სამუშაოების მწარმოებელი ქერიმი.

ტაროსგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, თქვენ გადანწყვეტთ, რომ ასევე გაესაუბროთ ქერიმს, სამუშაოთა მწარმოებელს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაგეგმავთ რა საკითხებზე გსურთ მასთან საუბარი.

სამსახურებრივი მოვალეობების შესახებ, როგორც იყო ხერხი აწყობილი, როდესაც ის მუშაობს მასთან. ასევე ეკითხებით თუ შეესწრო თვითონ ინცინდენტს, რამდენი ხანი მუშაობდა საწარმოში და ნახულობთ მისი კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას.

გასაუბრების შედეგად გამოვლინდა ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია, რომელიც დაფიქსირდა შემდეგნაირად ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად:

ქერიმი არის სამუშაოთა მწარმოებელი საწარმოში და აძლევს დავალებებს სხვა თანამშრომლებს, რომლებიც მუშაობენ მანქანა-დანადგარებთან. იგი ამ საწარმოში უკვე 10 წელია მუშაობს, თავიდან დაიწყო ხერხის ოპერატორად მუშაობა, შემდეგ კი დააწინაურეს და გახდა სამუშაოთა მწარმოებელი ხუთი წლის წინ. ის თვლის, რომ მისი მოვალეობაა თანამშრომლებისთვის დავალების მიცემა, რომ მათ შეასრულონ კლიენტების შეკვეთები.

ის ადასტურებს, რომ დაახლოებით 09:30 ტაროსა და ქსავიერს სთხოვა დაეჭრათ 1 მ. სიგრძის და 2 მ. სიგანის ხის ნაჭრები სიგრძეზე, რათა მიეღოთ ნაჭრები 0.5 მ 2 მ-ზე PPPP ხერხის 123 მოდელის გამოყენებით, რომელიც საწარმოს ცენტრში მდებარეობდა. ინცინდენტის დროს არ იმყოფებოდა ადგილზე და არ იცის ზუსტად რა მოხდა.

მას შემდეგ, რაც გაიგო ინცინდენტის შესახებ, გამოიძახა სასწრაფო დახმარება და გაემართა შემთხვევის ადგილზე. ქსავიერი წაიყვანეს საავადმყოფოში. ის ადასტურებს, რომ 2009 წლის 25 სექტემბერს 15:00 თქვენ მოგაწოდათ 15 გვერდიანი PPPP ხერხის 123 მოდელის, სერიული ნომრით 987456 გამოყენების ინსტრუქცია, რომელიც დასათაურებულია Kh1.

მას არასოდეს უნახავს დამცავი ხერხზე, როგორც ეს დიაგრამა 6-შია ნაჩვენები და არც არასოდეს ყოფილა ხერხი დაცული, როცა ის მას ამუშავებდა, ის ასევე არ თვლის თავს პასუხისმგებლად, ზედამხედველობა გაუწიოს მუშაობის სისტემას საწარმოში, თავს პასუხისმგებლად თვლის მხოლოდ სამუშაოს შესრულებაზე. მან არ იცის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების კურსების შესახებაც.

ამის შემდეგ თქვენ გადანწყვეტთ დაზარალებული ქსავიერ ჯონსსაც გაესაუბროთ, რომელიც საავადმყოფოშია და საწარმოში ხალხს ეუბნებით, რომ მათ დაუკავშირდებით თუკი დამატებითი ინფორმაცია დაგჭირდებათ.

მაგრამ საწარმოს დატოვებამდე უნდა დარწმუნდეთ, რომ თქვენი წასვლის შემდეგ იქ სამუშაო პირობები უფრო უსაფრთხო იქნება, ვიდრე მანამდე იყო. თქვენ გამოცდით შემოკავებელ ორდერს, რომელიც კრძალავს PPPP ხერხის 123 მოდელის გამოყენებას მანამ, სანამ ის არ იქნება სათანადოდ დაცული, დენის კაბელი არ იქნება ისე დაცული, რომ არ წარმოადგენდეს საფრთხეს. ასევე იძლევთ მითითებას, რომ ხერხის ირგვლივ მიმოფანტული ხის ნაჭრებისაგან გაიწმინდოს ტერიტორია რეგულარულად და რომ საწარმომ გადახედოს მანქანა-დანადგარების გამოყენების უსაფრთხოების საკითხებს, რათა გარანტირებულ იქნას სამუშაო სისტემების უსაფრთხოება.

სანამ ქსავიერს გაესაუბრებთ, მანამდე საჭიროა წინასწარ მოემზადოთ, მათ შორის ჯერ "TED" შეკითხვები ინცინდენტის შესახებ (მაგ: თუ შეიძლება, აღწერეთ რა მოხდა, როგორი სამუშაო სისტემა არსებობდა, აღწერეთ თქვენი მოვალეობები და ა.შ.) შემდეგ კი შეიძლება გადახვიდეთ დახურული შეკითხვების დასმაზე (მაგ: რომელ საათზე დაიწყეთ მუშაობა? რამდენი ხანია მუშაობთ ამ საწარმოში? რა თანამდებობაზე მუშაობთ?) განიხილეთ ხერხის მუშაობის ინსტრუქცია და უსაფრთხოების სისტემა, ასევე იკითხეთ მიუღია თუ - არა შესაბამისი ტრენინგი მისი გამოყენების შესახებ და თუ მიუღია, მაშინ - ვისგან.

გასაუბრება დაიწყეთ ქსავიერთან კონტაქტის დამყარებით. აუხსენით გამოძიების მიზანი და მასში თქვენი როლი.

გასაუბრების შედეგად გამოვლინდა ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია, რომელიც დაფიქსირდა შემდეგნაირად ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად:

ქსავიერი ადასტურებს, რომ დაიბადა 1992 წლის 15 აპრილს და რომ XYZ საწარმოში ბოლო 6 თვის განმავლობაში მუშაობდა. ის დაქირავებულია იმ მიზნით, რომ დაეხმაროს სხვადასხვა თანამშრომელს, ვისაც მისი დახმარება დასჭირდება, ყველაზე ხშირად ტაროს ეხმარება, რომლის გვარიც არ იცის. როგორც წესი, დავალებებს იღებს ქერიმისგან, სამუშაოთა მწარმოებლისაგან.

ინცინდენტის დღეს მუშაობა ჩვეულებისამებრ დილის 8 საათზე დაიწყო საწარმოს უკან ტერიტორიის დაგვიტ. დაახლოებით 09:30 ქერიმმა სთხოვა, ტაროს დახმარება დაეხმარებოდა ხის ნაჭრების თანაბრად დაჭრაში. 10:15-ზე მას შემდეგ, რაც 10:00-ზე შეისვენეს, შეუდგნენ მუშაობას და როგორც წესი მას უნდა აეკრიფა დაჭრილი ხის ნაჭრები ხერხის დაშვებიდან.

მას არ ახსოვს ზუსტად რა დროს მოხდა ინცინდენტი, მაგრამ ის მას შემდეგ შეეშინებოდა, რაც უკან ბრუნდებოდა ხერხის მიმართულებით და ფეხი წამოიღო დენის კაბელს. რომ არ დაცემულიყო მარცხენა ხელი გასწია თავის შესაკავებლად, რა დროსაც ხელი მოუხვდა ხერხზე, რომელიც ჯერ კიდევ ტრიალებდა. ხერხმა მარცხენა ხელის 4 თითი მოაჭრა სამი ყველაზე გრძელი თითის პირველ სახსართან, პატარა თითი კი მეორე სახსართან.


ის ადასტურებს, რომ ფოტო CFS1 აჩვენებს იმ ხერხს, რომელზეც მოხდა ინცინდენტი და როგორც ფოტოზეა ნაჩვენები, იქ არ არის დამცავი საფარი. ფოტო CFS2 აჩვენებს დენის კაბელს, რომელსაც წამოიღო ფეხი. (ფოტოების CFS1 და CFS2 თქვენს - ინსპექტორის - მიერაა გადაღებული). ის აცხადებს, რომ როდესაც პირველად მოუწია

ხერხთან მუშაობა ტარომ აუხსნა როგორ უნდა ემუშავა და გააფრთხილა, რომ თითებს გაფრთხილებოდა, მას სხვა ინსტრუქტაჟი არ მიუღია. მას შემდეგ, რაც ნახა PPPP ხერხის 123 მოდელი სახელად KH1, მან განაცხადა, რომ პირველად ხედავს ამ დოკუმენტს და რომ არასოდეს უნახავს ისე აწყობილი ხერხი, როგორც ეს დიაგრამა 6-შია (რომელიც აჩვენებს ხერხს უსაფრთხოების საფარით). ის ასევე ამბობს, რომ ჩამრთველი არასოდეს ჰქონია ხერხს, როგორც ეს დიაგრამა 8-შია და არ იცის მისი დანიშნულება.

როგორც გამომძიებელი, თქვენ უნდა დაიწყოთ ამის შემდეგ მიღებული ინფორმაციის ანალიზი.

ნაბიჯი 3: ინფორმაციის გაანალიზება

რადგან უკვე იცით თუ რა მოხდა, შეგიძლიათ ახლა შეუდგეთ მოვლენების თანმიმდევრობის აღდგენას:



ეს ინფორმაცია გაირკვა იმ ჩვენებებიდან, რომელიც თქვენ მიიღეთ.

ამის შემდეგ შეგიძლიათ დაიწყოთ ე.წ. ბრალულობის ხის ანალიზი. შეკითხვა 'რატომ' დასმით (რატომ მოხდა ინციდენტი?) თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი ინფორმაცია მოწმეების ჩვენებებზე დაყრდნობით:

ნაბიჯი 4: პრევენციის/რისკის კონტროლის მექანიზმის იდენტიფიცირება

რა არის უშუალო, ძირითადი და არსებითი მიზეზები?

უშუალო მიზეზები:

- დაზარალებულს ხელი მოუხვდა დაუცველ ხერხზე, რადგანაც მან ფეხი წამოდო ღენის კაბელს იატაკზე, რომელიც ასევე არ იყო დაცული და დამაგრებული.

ძირითადი მიზეზი:

- ხერხის პირი არ იყო დაცული;
- ირგვლივ იყო საფრთხის წყარო, იატაკზე დაგდებული დაუმაგრებელი ღენის კაბელი (ასევე ხის ნაჭრები);
- სამუშაო სივრცე იყო შეზღუდული;
- საწარმოს არ ჰყავდა თავისი თანამშრომლები შესაბამისად მომზადებული;
- მედამხედველის როლი არ იყო განსაზღვრული;
- არ არსებობდა ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გამართული სისტემა, რომელიც მოახდენდა საფრთხეების იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფდა რისკების კონტროლის მექანიზმის არსებობას.

რისკების კონტროლის მექანიზმი:

- შეიძინონ და დაამონტაჟონ ხერხის დამცავი;
- ღენის კაბელს შეუცვალონ მიმართულება, თუკი ეს არ არის შესაძლებელი კარგად დამაგრონ იატაკზე;
- ისე შეიცვალოს სივრცის ორგანიზება, რომ ხერხის ირგვლივ საკმარისი ადგილი იყოს სამუშაოსთვის;
- უფრო ხშირად მოხდეს სამუშაო სივრცის დალაგება, რათა მანქანა-დანადგარების ირგვლივ იყოს სისუფთავე;
- ყველა თანამშრომელმა გაიაროს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები ხის დამამუშავებელი დანადგარების უსაფრთხო გამოყენების შესახებ.

- ყველა ზედამხედველმა, სამუშაოთა მწარმოებელმა იცოდეს საკუთარი მოვალეობები, რათა უზრუნველყონ უსაფრთხო სამუშაო გარემოს არსებობა და მოახდინონ რეგულარული ინსპექტირება;
- შეიქმნას ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ისეთი სისტემა, რომელიც საფრთხეების იდენტიფიცირებას ახდენს, ასევე ადგენს რისკის კონტროლის შესაბამის მექანიზმებს. გაანალიზდეს სისტემა მისი შექმნის შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი ეფექტურობა.

ნაბიჯი 5: სამოქმედო გეგმის განხორციელება

დარწმუნდით, რომ რისკების კონტროლის შემოთავაზებული მექანიზმები აუცილებლად შესრულდება. ამის განხორციელების დრო შეიძლება სხვადასხვა საწარმოში სხვადასხვა იყოს. ზოგიერთი ნაბიჯის გადადგმა მაშინვე შეიძლება, ზოგიერთს - დრო დასჭირდება.

ნაბიჯი 6: გამოძიების ანგარიში

ნაწილი A - გამოძიების დეტალები

- A1** საწარმოს/ების სახელი/ები (მიუთითეთ იურიდიული პირის სრული დასახელება);
- A2** საწარმოს მისამართი/ები (კომპანიების შემთხვევაში მიუთითეთ რეგისტრაციის მისამართი; კერძო პირების შემთხვევაში მიუთითეთ ნებისმიერი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია) გრინ როუდ 35, ბლუ სქუარ, ფლათ ქაუნთი
- A3** პასუხისმგებელი პირის მოვალეობა/თანამდებობა (დამსაქმებელი, თვით დასაქმებული, კონტრაქტორი და ა.შ.) - დამსაქმებელი
- A4** ინცინდენტის მდებარეობა/მისამართი (მისამართი იმ ადგილისა, სადაც გამოძიების ქვეშ მყოფი ინცინდენტი მოხდა) გრინ როუდ 35, ბლუ სქუარ, ფლათ ქაუნთი
- A5** გამოძიების დაწყების თარიღი - 2009 წლის 25 სექტემბერი
- A6** გამოძიების ნომერი A30697
- A7** გამოძიების ობიექტის აღწერა (მოკლე შინაარსი ანგარიშის ძირითადი საკითხის შესახებ) - ბ-ნ ქსავიერ ჯონსს მოუხდა თავის მარცხენა ხელზე ოთხი თითის ამპუტაცია, როდესაც ხელი მოუხდა PPPP ხერხის 123 მოდელზე მუშაობისას

- A8** ინცინდენტის თარიღი - 2009 წლის 25 სექტემბერი
- A9** ინცინდენტის შედეგად დაზარალებული ან გარდაცვლილი პირების სახელ/ები და მისამართ/ები - ბ-ნი ქსავიერ ჯონსი, ბინა 3, ბისი როუდ, ფლათ ქაუნთი
- A10** მთავარი გამომძიებლის სახელი, მისი დამსაქმებლის სრული მისამართი
ბ-ნი კარლოს ფლორეს სანჩესი, შრომის სამინისტრო, შრომის ინსპექტორატი,
25 პაი სთრიტ, ფლათ ქაუნთი
- A11** მთავარ გამომძიებელთან ერთად იმავე დეპარტამენტში მომუშავე სხვა გამომძი-
ებლების სახელები და საკონტაქტო ინფორმაცია - არავინ
- A12** სხვა გამომძიებლების სახელები და საკონტაქტო ინფორმაცია - არავინ
- A13** გამოძიების სხვა თარიღები - 2009 წლის 27 და 29 სექტემბერი

ნაწილი B - ფაქტობრივი ანგარიში

- B1** ინცინდენტის/უბედური შემთხვევის გამომწვევი ფაქტებისა და გარემოებების აღწერა.

ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს ფაქტობრივ ინფორმაციას, რომელიც გადამო-
წმებული უნდა იყოს მოპოვებული ჩვენებებით, დოკუმენტებით, სკენებითა და
ფოტოებით. უნდა მოიცავდეს ფაქტების ამომწურავ ჩამონათვალს. თუკი არ-
სებობს ერთმანეთთან შეუსაბამობაში მყოფი ფაქტები, არ არის საჭირო რო-
მელიმე მათგანის სანდოობის შესახებ კომენტარის გაკეთება.

თუკი შესაძებელია, ეს ნაწილი სტრუქტურირებული უნდა იყოს ქვე-თავებად,
მაგალითად:

- საწარმო, მანქანა-დანადგარები და სხვადასხვა ნივთიერებები
- სამუშაო სისტემა
- ტრენინგები, ინსტრუქტაჟი და ზედამხედველობა
- რისკების შეფასება
- შედეგები, მაგ: დაზიანების ხარისხი/მასშტაბი

ბ-ნი ქსავიერ ჯონსი, რომელიც მუშაობდა ბ-ნ ტარო იამადასთან ერთად (ჩვენება 1 და 3), მოუწია მარცხენა ხელის ოთხი თითის ნაწილობრივი ამპუტაცია (ჩვენება 3), როდესაც ფეხი წამოდო დენის კაბელს, თავი რომ შეეკავებინა დაცემისაგან ამ დროს ხელი მოუხვდა PPPP ხერხის 123 მოდელზე, რომლის პირიც ამ დროს არ იყო დაცული, ხერხი ნაჩვენებია ფოტოებზე CFS 1 და 2, რომელიც წარმოდგენილია ბ-ნი კარლოს ფლორეს სანჩესის, გამომძიებლის მიერ (ჩვენება 4). ჯონსი, იამადა - სამუშაოთა მწარმოებელი - ბ-ნი ქერიმ ჰადადი (ჩვენება 1, 2 და 3) არ იყვნენ ინფორმირებულნი, რომ ხერხის პირს სჭირდებოდა დამცავი საფარი, როგორც ეს ინსტრუქციაშია მითითებული, KH 1 (სამხილი 1), რომელიც წარმოადგინა ჰადადმა. ჯონსმა, იამადამ და ჰადადმა (ჩვენებები 1, 2 და 3) განაცხადეს, რომ არ გაუვლიათ რამე ფორმალური კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი ხის დამამუშავებელ მანქანა-დანადგარებთან მუშაობისათვის და ჰადადმა ასევე განაცხადა (ჩვენება 3), რომ არ იყო ინფორმირებული მსგავსი კურსების არსებობის შესახებ.

B2 პასუხისმგებელი პირების მიერ ინცინდენტამდე გატარებული პრევენციული ზომები (აღწერეთ ინცინდენტამდე არსებული უსაფრთხოების და რისკების მართვის მექანიზმები) - არაფერი.

B3 ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვა (თუკი ამ ეტაპამდე არ მომხრდა ამ საკითხის აღწერა, შეძლებისდაგვარად, აქ უნდა განიმარტოს ინცინდენტამდე არსებული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვის სისტემა, მათ შორის პასუხისმგებელ პირებს შორის არსებული ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც გამომდინარეობს იქნება სასარგებლო).

გამომდინარეობს დროს არ იქნა აღმოჩენილი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვის სისტემა, რომელიც არსებობდა ინცინდენტამდე.

B4 ინცინდენტის შემდეგ პასუხისმგებელი პირების მიერ გატარებული პრევენციული ზომები (აღწერეთ ინცინდენტის შემდეგ გატარებული ზომები, რათა უზრუნველყოფილიყო არსებული რეგულაციების დაცვა. დაასახელოთ რა ზომების გატარება იქნა გამოწვეული გამომძიებლების ჩარევის შედეგად, მათ შორის აღსრულების ზომები).

მას შემდეგ, რაც გაცემული იქნა შემარბევი ორდერი, რომლის მიხედვითაც იკრძალებოდა ხერხის გამოყენება, სანამ არ მოხდებოდა მისი სათანადო დაცვა, XYZ საწარმომ მოახდინა დამცავი საფარის მონტაჟი და დაამაგრა იატაკზე დენის კაბელი, რათა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი საფრთხე. XYZ საწარმომ ასევე უზრუნველყო ხის დამამუშავებელი მანქანა-დანადგარების ოპერატორებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ჩატარება და ჰადადს აუხსნა მისი ზედამხედველობის როლისა და ფუნქციების შესახებ.

B5 ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვის სისტემაში ინცინდენტის შემდეგ გატარებული ცვლილებები (აღწერეთ ნებისმიერი ცვლილება, რომელთა შესახებაც ამ დრომდე არ ყოფილა საუბარი. ახსენეთ თუკი ისინი გამოწვეული იქნა გამომძიებლების ჩარევის შედეგად, მათ შორის აღსრულების ზომები).

XYZ საწარმომ მოახდინა სამუშაო ადგილზე ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვის სისტემის, სამუშაო ადგილზე საფრთხეების იდენტიფიცირებისა და სათანადო რისკების მართვის ზომების ინიცირება.

ნაწილი C – ინცინდენტის ანალიზი და კონონმდებლობასთან შესაბამისობა

C1 - გამომძიებლების დასკვნები ინცინდენტის გამომწვევი მიზეზების შესახებ (აღწერეთ უშუალო და ძირითადი მიზეზები. ამ ეტაპზე გამომძიებლებს უკვე უნდა შეეძლოთ, ყველა ფაქტის ანალიზის შემდეგ, საკუთარი აზრი გამოთქვან მომხდარის მიზეზების შესახებ).

უშუალო მიზეზები:

დამარაგებულს მოუხვდა ხელი დაუცველ ხერხზე, როდესაც მან ფეხი წამოდო იატაკზე დენის კაბელს, რომელიც არ იყო დამაგრებული და დაფარული.

ძირითადი მიზეზები:

- ხერხის პირის დამცავი საფარი არ არსებობდა;
- სამუშაო სივრცის ირგვლივ იყო საფრთხეები, მაგ. დენის კაბელი, ასევე ხის ნაჭრები;
- ხერხის ირგვლივ სამუშაო სივრცე იყო შემლუდული;
- საწარმოს თანამშრომლებს არ ჰქონდათ შესაბამისი ტრენინგი გავლილი ხერხის გამოყენების შესახებ;
- მედამხედველის როლი არ იყო განსაზღვრული.
- საწარმოში არ არსებობდა სამუშაო ადგილზე ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვის სისტემა, რომელიც მოახდენდა საფრთხეების იდენტიფიცირებას და ასევე არ არსებობდა სათანადო რისკების კონტროლის მექანიზმი.

აღნიშნული ინცინდენტის მიზეზები ზემოთაა აღწერილი. ინცინდენტი მოხდა არა მაშინ, როდესაც თანამშრომლები ჭრიდნენ ხეს, არამედ როდესაც დაზარალებულმა ჯონსმა ფეხი წამოდო ღენის კაბელს ხერხთან მიახლოებისას. თუმცა, ხერხის პირი სათანადოდ რომ ყოფილიყო დაცული, მაშინ ინცინდენტის რისკი უფრო ნაკლები იქნებოდა, იმ შემთხვევაშიც კი თუკი დაზარალებული მაინც წამოვდებოდა ფეხს იატაკზე ღენის კაბელს. დასაქმებულები იყენებდნენ საფრთხის შემცველ სამუშაო სისტემას, რადგანაც მათ არ ჰქონდათ შესაბამისი ტრენინგი გავლილი. მათ არ უგულებელუყვიათ უსაფრთხოების წესები, რადგან ასეთ არ არსებობდა საწარმოში. ის, რომ ხერხის ასეთი ფორმით გამოყენებას ამ დრომდე არ გამოუწვევია ინცინდენტი, არ ნიშნავს იმას რომ უსაფრთხო სისტემა არსებობდა საწარმოში. ზედამხედველმა ჰადადმა არ იცოდა როგორ უნდა ემართა ხერხი სათანადო უსაფრთხოების სისტემის გამოყენებით და შესაბამისად, არ შეეძლო სამუშაო ადგილზე უსაფრთხო სამუშაო სისტემის არსებობის უზრუნველყოფა. მან ასევე არ იცოდა თავისი, როგორც ზედამხედველის მოვალეობების შესახებ, სამუშაო ადგილას უსაფრთხო სამუშაო სისტემის მიმართებით. საწარმო უფრო იმით იყო დაინტერესებული, რომ დროზე შეესრულებინა შეკვეთა და არა იმით, რომ უზრუნველყოფოდა უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე.

C2 საკანონმდებლო მოთხოვნები (ჩამოთვალეთ შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნები).

ეს ნაწილი არ არის შევსებული, რადგან ეროვნული კანონმდებლობა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია.

C3 კანონის გამოყენება (ჩამოთვალეთ C2 ნაწილში ხსენებული რომელი კანონი იქნა დარღვეული).

ეს ნაწილი არ არის შევსებული, რადგან ეროვნული კანონმდებლობა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია.

ნაწილი D - გატარებული ან შეთავაზებული ქმედებები

D1 გამომძიებლებმა უნდა აღწერონ ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც გატარდა ან იგეგმება, რათა უზრუნველყოფილი იქნას კანონმდებლობასთან თანხვედრა და თავიდან იქნას აცილებული მსგავსი ინცინდენტის განმეორება. ეს შეიძლება მოიცავდეს ზეპირ რჩევას, წერილობით რჩევას, სიტუაციის გასაუმჯობესებლად გაცემულ შეტყობინებებს, აკრძალვის შესახებ გაცემულ შეტყობინებებს ან სასჯელს.

ეროვნული კანონმდებლობა განსხვავდება; ბევრ შემთხვევაში შეიძლება სანქციები იქნას დაწესებული. ქვემოთ მოყვანილი მაგალითი აჩვენებს შესაფერის ქმედებებს:

2009 წლის 25 სექტემბერს გაცემულ იქნა შემაჩერებელი ორდერი, რომლის მოქმედება გრძელდება მანამ, სანამ XYZ საწარმო არ უზრუნველყოფს PPPP ხერხზე დამცავი საფარის დამაგრებამდე და ღენის კაბელის მიერ გამოწვეული საფრთხის შემცირებამდე. XYZ საწარმოს მიეთითა, რომ მის ყველა თანამშრომელს,

ვინც ხეს ამუშავებდა, უნდა გაეგვლო კვალიფიკაციის ასმაღლებელი კურსები და უნდა შემოწმებულიყო მათი სამუშაო პრაქტიკის უსაფრთხოება, ასევე სამუშაო ადგილზე უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი კონტროლის სათანადო მექანიზმები ეს დადასტურებულ იქნა წერილობით. ზეპირად იქნა ასევე რეკომენდირებული სამუშაო სივრცის გაწმენდა ხის ნაჭრებისაგან, რაც კიდევ უფრო შეამცირებდა რისკებს. გაცემულ იქნა ასევე წერილობითი რეკომენდაციაც.

დანართი 1

მოწმეების შესახებ ინფორმაცია, რომლებმაც გამოძიებას ჩვენება მისცეს

ჩვენების ნომერი	თარიღი	მოწმის სრული სახელი	მოწმის სრული სახელი
1	25/09/2009	ტარო იამადა	ცირკულარული ხერხის ოპერატორი
2	25/09/2009	ქერიმ ჰადადი	საამქროს სამუშაოთა მწარმოებელი
3	27/09/2009	ქსავიერ ჯონსი	დამარაღებული - ცირკულარული ხერხის ოპერატორის ასისტენტი
4	29/09/2009	კარლოს ფლორეს სანჩესი	შრომის ინსპექტორი

დანართი 2

მოპოვებული სამხილების შესახებ ინფორმაცია

სამხილის ნომერი	სამხილის საიდენტი- ფიკაციო ნომერი	სამხილის აღწერილობა	მოპოვების თარიღი/ მომწოდებელი	წარმოდგენილია (მონშე და ჩვენების ნომერი)	ჩვენებაში გვერდი/ აბზაცი	სამხილის შენახვის ადგილი
1	KH1	15 გვერდიანი დოკუმენტი PPPP ხერხის 123 მოდელის გამოყენების ინსტრუქცია'	ბ-ნი ქერიმ ჰადადი 25/09/2009 3 p.m.	ბ-ნი ქერიმ ჰადადი ჩვენება 2	გვ. 2, აბზაცი 6	სამხილების საცავი
2	CFS1	ფოტო, ხერხი PPPP მოდელი 123	25/09/2009	ინსპექტორი CFS ჩვენება 4	გვ. 1, აბზაცი 3	სამხილების საცავი
3	CFS2	PPPP ხერხის 123 მოდელის დენის კაბელის ფოტო	25/09/2009	ინსპექტორი CFS ჩვენება 4	გვ. 1, აბზაცი 3	სამხილების საცავი

დანართი 3

სავალდებულო რეგისტრაციის ჟურნალები, გადაწყვეტილებების რეგისტრაციის ფორმები და ა.შ. - არ არსებობს

სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა და დაავადებების გამოძიება

პრაქტიკული სახელმძღვანელო შრომის ინსპექტორებისათვის

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით ყოველდღიურად დაახლოებით 6300 ადამიანი იღუპება და 860 000 ადამიანი იღებს დაზიანებას ან სხვა მხრივ აყენებს ზიანს საკუთარ ჯანმრთელობას სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა თუ დაავადებების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ეს ციფრი შოკისმომგვრელია, ის მაინც არ გამოხატავს იმ ტკივილსა და ტანჯვას რომელსაც განიცდიან გლობალურად დასაქმებული პირები და მათი ოჯახის წევრები, არც საწარმოებისათვის და საზგადოებისთვის გლობალურად მიყენებულ ეკონომიკურ ზარალს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უბედური შემთხვევა სამუშაო ადგილზე და პროფესიული დაავადებები შეიძლება თავიდან იქნას აცილებული. თუმცა, როდესაც ისინი ხდება, საჭიროა შესაბამისი დასკვნების გამოტანა და გაკვეთილის მიღება. ეს საშუალებას მისცემს როგორც დამსაქმებლებს, ასევე დასაქმებულებს, რომ გააუმჯობესონ სამუშაო პირობები, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ასეთი ინციდენტების რაოდენობის შემცირებას.



წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საერთაშორისო სატრენინგო ცენტრთან ერთად, რათა შრომის ინსპექტორებს მიაწოდოს ინფორმაცია, რჩევა და მეთოდოლოგია, ასევე მათაც ვინც ჩართულია გამოძიების პროცესში, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეფექტური გამოძიების წარმართვა.

International Labour Office

Route des Morillons 4

CH-1211 Geneva 22

Switzerland

Tel. +41 22 799 67 15

Fax. +41 22 7996878

Email: labadmin-osh@ilo.org

www.ilo.org

ISBN: 978-92-2-830833-4

